სამართალი და მსოფლიო

საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი

სპეციალური გამოცემა

SPECIAL EDITION

№ 7, 06/2017

INTERNATIONAL REFEREED SCIENTIFIC JOURNAL

LAW and the WORLD

№7/ 2017
www.lawandworld.ge

სამართალი და მსოფლიო

ევროპის უნივერსიტეტის
სამართლის სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტი
საერთაშორისო სამეცნიერო
რეფერირებადი ჟურნალი

სპეციალური ნომერი

LAW AND THE WORLD

THE LEGAL SCIENTIFIC
RESEARCH INSTITUTE OF THE
EUROPEAN UNIVERSITY
INTERNATIONAL REFEREED
SCIENTIFIC JOURNAL

SPECIAL ISSUE

თბილისი
Tbilisi

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზი-
ცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ჟურნალის
სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

The authors of the articles published in this journal are each solely responsible for the accuracy of their respective articles. Their respective views do not necessarily coincide with the views of the Editorial Board.

აკრძალულია გამოქვეყნებული მასალის
გამრავლება ან გავრცელება კომერციული
მიზნებისათვის.

Reproduction on distribution of the materials published in this journal for commercial purposes is prohibited.

ინსტიტუტის დირექტორი:	იოსებ კელენჯერიძე
ტექნიკური რედაქტორი:	სოფიკო ჩილინდრიშვილი
დიზაინი და დაკაბადონება:	თამარ ქავშარაძე

Director of Institute:	IOSEPH KELENJERIDZE
Technical Editor:	SOPHIKO CHILINDRISHVILI
Design and Layout:	TAMAR QAVZHARADZE

გამომცემლობა „დანი“
Publishing „Dani“
ISSN 2346-7916

ამ ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე:
The online version of the journal is available on the website:

www.lawandworld.ge
E-mail: info@lawandworld.ge

სარედაქციო კოლეგია

ზურაბ ჭყონია
მთავარი რედაქტორი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის თავმჯდომარე, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანაშრომელი

პატრიკ ტერი
კენტის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი და სამართლის მაგისტრი (ინგლისი), კელის საჯარო ადმინისტრაციის უნივერსიტეტის პროფესორი (გერმანია)

ჰანს იურგენ ზახორკა
ევროპული ინსტიტუტის ლიბერტას დირექტორი (გერმანია), ადვოკატი

რობ ჰოუკენსი
რიჩმონდის უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ)

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი (გერმანია)
სამართლის დოქტორი (ფრაიბურგი), იენის უნივერსიტეტის ლექტორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

გია მეფარიშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

მერაბ ტურავა
სამართლის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე

გიორგი გორაძე
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

როინ მიგრიაული
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

შალვა ქურდაძე
სამართლის დოქტორი, პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის გამგეობის წევრი

მერაბ გაბინაშვილი
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბაკურ ლილუაშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

ანა ჭილიტაშვილი
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მამუკა ანდღულაძე
სამართლის დოქტორი, პროფესორი

ბაჩანა ჯიშკარიანი
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ირმა მერებაშვილი
სამართალმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ლევან ჯაყელი
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გიორგი ღლონტი
სამართლის დოქტორი, პროფესორი

Editorial Board

ZURAB CHKONIA
Editor-in-Chief, Associate Professor, Chairman of the Union of Law scientists, Scientist-employee at the Law Scientific Research Institute of the European University

PATRICK C. R. TERRY
Ph.D., a Master of Laws degree (both Kent, UK) and two German law degrees, Professor of law at the University of Public Administration in Kehl (Germany)

HANS JURGEN ZAHORKA
Director LIBERTAS – European Institute GmbH (Germany), Attorney

ROB HAWKINS
Professor of University of Richmond (USA)

KETEWAN MTSCHEDLISCHWILI-HÄDRICH (Germany)
Doctor of Law (Freiburg), Lecturer of University of Jena, a member of the Union of Law Scientists

GEORGE GORADZE
Doctor of Law, Associate Professor

GIA MEPARISHVILI
Doctor of Law, Professor, a member of the Union of Law Scientists

MERAB TURAVA
Doctor of Law, Professor. Judge of the Constitutional Court of Georgia

ROIN MIGRIAULI
Doctor of Law, Associate Professor, a member of the Union of Law Scientists

SHALVA QURDADZE
Doctor of Law, Professor, a member of the board of the Union of Law Scientists

MERAB GABINASHVILI
Judge of Appeal Court, member of High Council of Georgia

BAKUR LILUASHVILI
Doctor of Law, Professor, a member of the Union of Law Scientists

ANA CHIGITASHVILI
Doctor of Law, Associate Professor

MAMUKA ANDGULADZE
Doctor of Law, Professor

BACHANA JISHKARIANI
Doctor of Law, Associate Professor

IRMA MEREBASHVILI
Doctor of Law, Professor

LEVAN JAKELI
Doctor of Law, Associate Professor

GEORGE GHLONTI
Doctor of Law, Professor

სარჩევი
Contents

5 მისალმება
Greeting

8 იუბილე
Anniversary

12 გამოხმაურებანი
Responses

19 მიძღვნები
Dedications

22 საპატიო მოქალაქეობა
Honorary citizenship

28 სამეცნიერო ნაშრომი
Scientific research

40 ინტერვიუ
Interview

47 თარგმანები
Translations

53 უცხოური პუბლიკაციები
International publications

62 პუბლიცისტიკა
Publicism

76 ფოტოარქივი
Photo archive

91 წარმატების გზაზე
Cursus Honorum

ძვირფასო მკითხველო

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჟურნალს „სამართალი და მსოფლიო“ პატივი აქვს წინამდებარე გამოცემა მიუძღვნას სახელოვანი ქართველი იურისტის მინდია უგრეხელიძის 75 წლის იუბილეს.

მინდია უგრეხელიძე დაიბადა საქართველოს ულამაზეს ქალაქ ქუთაისში. მისი ბავშვობა სწორედ ქუთაისს უკავშირდება. მამა – გურამ უგრეხელიძე, ცნობილი იურისტი, ორატორი და მთარგმნელი იყო. ამიტომ მას ოჯახიდან გამოყვა სამართლის მსახურის და დიდი კაცობის მადლი.

მინდია უგრეხელიძე გახლავთ თინათინ წერეთლის მიერ დაარსებული, საყოველთაოდ აღიარებული ქართული სამართლებრივი სკოლის გამორჩეული წარმომადგენელი – უახლოესი მოსწავლე, ერთგული თანაშემწე და თაოსნობათა გამგრძელებელი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა სწორედ ამ დიდი სამართალმცოდნის მიერ არის შთაგონებული, რაც მის ღვაწლს ერთი-ორად ამშვენებს და ფასს მატებს.

მინდია უგრეხელიძეს საქართველოში უკავშირდება მთელი რიგი თაოსნობანი:

- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, იგი იყო უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე (1990-1999) და მისი რეფორმატორი
- საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდგომ იყო პირველი ქართველი მოსამართლე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში (1999-2009)
- მის სახელს უკავშირდება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის პირველი გამოყენება სახელწოდებით „სახალხო სასამართლო“ ანუ „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას...'' (2010). ეს იყო საქართველოს სინამდვილეში უაღრესად გაბედული ნაბიჯი და დიდი სიახლე, განსაკუთრებით, მისი ორგანიზაცია და გაძღოლა, ამის წყალობით გამამტყუნებელი ვერდიქტი იქნა გამოტანილი ისეთ რეზონანსულ შემთხვევებზე, როგორიცაა „აფრასაიძეებისა“ და „ვაზაგაშვილის“ საქმეები (2010)
- მას უკავშირდება მასშტაბური დანერგვები, როგორც ეროვნულ და ყოფილ საკავშირო სივრცეში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჯერ ექსპერიმენტად, ხოლო შემდეგ ოფიციალურად დაარსება ე.წ. „კოლონია დასახლებებისა დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩამდენთათვის“, რასაც საფუძვლად დაედო იუბილარის მეცნიერული დასკვნები და რეკომენდაციები მისი დისერტაციიდან, რომელიც აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიას ეფუძნებოდა. ეს დისერტაცია უყოყმანოდ მოიწონა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო სამეცნიერო საბჭომ 1974 წელს
- საერთაშორისო მართლმსაჯულებამ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში წარმატებით გამოიყენა მიზეზობრიობის ქართული კონცეპტი (თინათინ წერეთლის ფორმულა) ცნობილ საქმეზე „ნაჩოვა და სხვ. ბულგარეთის წინააღმდეგ“ (2007), რაც მინდია უგრეხელიძის, როგორც დიდი პალატის მომხსენებელი მოსამართლის წინადადებით და ქართული გამოცდილების წყალობით საფუძვლად დაუდო მსგავსი საქმეების ანალოგიურ პრაქტიკას. ეს იყო უიშვიათესი შემთხვევა ეროვნული იდეების საერთაშორისო იურისპრუდენციაში დანერგვისა

- მინდია უგრეხელიძის თაოსნობით, ჯერ კიდევ წინარე საუკუნის 70-იან წლებში, ჩამოყალიბდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დღევანდელი 254-ე მუხლის რედაქცია, რომელმაც კულტურის ძეგლების დაცვა სრულიად ახალ პრინციპებზე დააფუძნა
- მისივე ინიციატივით, სისხლის სამართლის მოქმედ კოდექსს ამშვენებს მუხლი 8 მიზეზობრივი კავშირის შესახებ, რომელიც ერთადერთი შემთხვევაა ევროპაში ურთულესი პრობლემის საკანონმდებლო რეგულაციისა
- მას ეკუთვნის სისხლის სამართლის ისეთი საკანონმდებლო პრინციპი, როგორიცაა „ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი“
- იგი გახლავთ შემოქმედი ისეთი ქმედითი კვლევითი ინსტრუმენტისა, როგორიცაა რეტროსპექტიული მეთოდი
- მინდია უგრეხელიძემ შემოიტანა, ავითარებს და ნერგავს სამართლის მეცნიერების სრულიად ახალ მიმართულებებს, როგორიცაა ნომოლოგია, ლეგიმერტრია და სამართლის დიმენსიოლოგია, რაც დაკავშირებულია ინტერდისციპლინურ კვლევებთან ფილოსოფიის, ლოგიკისა და მათემატიკის მიჯნაზე (გადაკვეთაზე); შემოქმედებითად აქვს მიგნებული და გამოყენებული ე.წ. „კვანტიფიკაციის მეთოდი“. მისი მიდგომა, მრავლისმომცველი და მრავლისმეტყველი, ეს არის მომავლის ხედვა, რომ მართლაც შეიძლება ყველაფერი გაიზომოს და აიწონოს სამართლით
- მის სახელს უკავშირდება „ქართულ (საბჭოთა) ენციკლოპედიაში“ ატომური სამართლის (კანონმდებლობის) ტერმინის მეცნიერული განმარტება, რომელიც უცხოა ყველა სხვა უნივერსალური ენციკლოპედიისათვის
- სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად მან შემოიღო და დანერგა ინოვაციური და პერსპექტიული პროექტები, პროგრამები და სილაბუსები.

მინდია უგრეხელიძის მეცნიერული ნაშრომები გამოქვეყნებულია 10 უცხოურ ენაზე (რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, პოლონური, იტალიური, ბერძნული და სხვა) 14 ქვეყანაში (რუსეთი, უკრაინა, გერმანია, საფრანგეთი, ვენესუელა, პოლონეთი, კანადა, შვეიცარია, იტალია, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაბარდო-ბალყარეთი და სხვა). ლექციები და გამოსვლები ჰქონდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, გფრ, საფრანგეთი, ინგლისი, ისრაელი, უკრაინა, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და სხვა. მისმა ნაშრომებმა დიდი წვლილი შეიტანეს სამართლის მეცნიერების განვითარებაში, შუქი მოჰფინეს მანამდე გადაუჭრელ ბევრ პრობლემას.

მინდია უგრეხელიძეს აღზრდილი ჰყავს ქართველი იურისტების მრავალი თაობა. მასზე მოწიწებით საუბრობენ სხვადასხვა ქვეყნის იურისტები, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰქონიათ შეხება მინდია უგრეხელიძესთან. ეს არის ადამიანი, რომელზეც შეიძლება გქონდეს სწორება, როგორც იურისტზე და როგორც ადამიანზე. მისი აღზრდილები ყოველთვის იამაყებენ, რომ მათი მასწავლებელი იყო მინდია უგრეხელიძე.

ამჟამად მინდია უგრეხელიძე იმყოფება შემოქმედებითი ნაყოფიერების პიკზე, ბოლო 10 წლის განმავლობაში ქართულ და უცხოურ ენებზე გამოაქვეყნა 20-ზე მეტი ნაშრომი; გვთავაზობს ახალ-ახალ იდეებსა და პროექტებს; იგი შეუდგა უცხოურენოვანი იურიდიული ფრაზეოლოგიის შედგენას ავტორისეული მეცნიერული განმარტების თანხლებით, რაც ქართველი იურისტებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ასეთი ლექსიკონი ქართულ სინამდვილეში არ არსებობს.

მინდია უგრეხელიძის მოღვაწეობის დანარჩენ მნიშვნელოვან ასპექტებს, სამეცნიერო ნაშრომებს, გამონათქვამებს და სხვა მასალებს მკითხველი ჩვენი ჟურნალის წინამდებარე ნომრის მეშვეობით გაეცნობა.

საიუბილეო საინიციატივო ჯგუფი

მინდია უგრეხელიძე

ფოტო ევროპის საბჭოს არქივიდან

DECORO

2017 წლის 15 მაისს, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ქართველი მეცნიერ-იურისტისა და საზოგადო მოღვაწის მინდია უგრეხელიძის 75 წლისადმი მიძღვნილი იუბილე გაიმართა.

P.S. იუბილე სრულად შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ CD დისკზე.

გამოხმაურებანი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი 1
ტელ.: (995 32)2990378, 2989540; ფაქსი:2987114

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114
Tel.:(995 32)2990378, 2989540; Fax:2987114

15.05.2017

ბატონ მინდია უგრეხელიძეს გულითადად ვულოცავთ დაბადებიდან 75 წლისთავს.

მან წინააღმდეგობებით სავსე გზა ღირსეულად განვლო, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და ყველგან და ყოველთვის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ფრიად გვახარებს, რომ ასეთი მაღალი რანგის იურისტი დღეს ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორია და მომავალ თაობებს ზრდის.

ღმერთმა დალოცოს ბატონი მინდია და კვლავაც დიდხანს ამსახუროს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ზოგი მეცნიერი ნიჭიერია, მაგრამ არცთუ შრომის-მოყვარე, მინდია უგრეხელიძე იღბლიანი შემთხვევაა: ის გახლავთ შრომაზე გამრავლებული ტალანტი, ამასთან საოცარი წარმატება აქვს, როგორც ლექტორს.

– თინათინ წერეთელი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებელი (1903-1980წწ.)

ჩვენს ქვეყანაში XIX-XX საუკუნეებში და განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, წარსულსა და აწმყოს შორის ჯანსაღი კავშირის შენარჩუნებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. მეტად რთული აღმოჩნდა საკუთარ იდენტობასთან გაწყვეტილი კავშირის აღდგენა არნახული გამოწვევებით აღსავსე მსოფლიოს წინაშე პირისპირ დარჩენილი ჩვენი საზოგადოებისთვის. ასეთ დროს უაღრესად მნიშვნელოვანია არსებობა პიროვნებისა, რომელიც თავისი მოქალაქეობრივი პათოსით თითქოს არც კი გაგრძნობინებს ამ წყვეტას; და ამას ახდენს თავისი სარწმუნოებით, ფილოსოფიით, პროფესიონალიზმით, კეთილშობილებით, დიდი მამულიშვილური სიდარბაისლით და რაღაც საოცარი თვისებებით, რასაც ქართული ფენომენი ჰქვია.

აი ასე, თითქოს არც ემჩნევა ბატონ მინდიას, რომ ასეთი რამ ხდება, მას ეს არ ეტყობა, და ყოველივე მოაქვს მშვიდად, სიყვარულით, – სასოებით ამკვიდრებს ამას...

ეს კი ნიშანია იმისა, რომ ქართული სული ცოცხლობს, ქართული სული განაგრძობს თავის არსებობას.

- მეუფე დანიელი

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი

ჩემი ბოლო სტუმრობისას თბილისში მოულოდნელად მომეცა წარმოუდგენელი იღბალი და უნიკალური შესაძლებლობა, რამდენჯერმე შევხვედროდი მინდია უგრეხელიძეს, რომელიც გახლავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე. ის აღმოჩნდა უაღრესად მომხიბლავი, განათლებული ჯენტლმენი, რომელიც თავისუფლად ფლობს ინგლისურს და დამატყვევა უამრავი საინტერესო ამბით თავისი განუზომელი გამოცდილებიდან ორივე სასამართლოში. დიდი დრო არ დამჭირვებია, რომ წარმომედგინა მისი ხატი ქართულ სამართლებრივ სივრცეში და ფასდაუდებელი წვლილი როგორც მოსამართლისა და სამართლის პროფესორისა. მან ყველა ღონე იხმარა, რათა თავი მეგრძნო ჩართულად და კომფორტულად ჩვენი საუბრის ყველა ასპექტში. ისღა დამრჩენია იმედი ვიქონიო, რომ მასთან ჩემი შემდგომი შეხვედრის განმავლობაში მე შესაძლებლობა მომეცემა, განვამტკიცო ურთიერთობა ამ ფრიად პატივცემულ და ბრწყინვალე სწავლულ სამართალმცოდნესთან.

- მარკ ა. სპეისერი

ფლორიდის საოლქო მოსამართლე (აშშ)

მინდია, ბრწყინვალე მამის ბრწყინვალე შვილი, ჩემი ძველისძველი მეგობარია, – კეთილშობილი, ერთადერთი და განუმეორებელი.

- რეზო გაბრიაძე

მწერალი, დრამატურგი და სცენარისტი, მარიონეტების თეატრის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი

შესახებ წიგნისა:

„გაუფრთხილებლობის პრობლემა სისხლის სამართალში“

გადმოცემის მანერა ანარეკლია მეცნიერული აზროვნების მანერისა. მინდია უგრეხელიძის სტილი ნაშრომის მშვენებაა და მისი ღირსება. საქმე შეეხება აზრის მკაცრ ლოგიკურ მოძრაობას, მეცნიერულ ველზე ახალი ხნულია გავლებული, რაც გუთანზე ძლიერ დაწოლას მოითხოვს; თავისი მეცნიერული ლაშქრობიდან ფსიქოლოგიაში ავტორი მდიდარი ნადავლით დაბრუნდა.

ბორის ნიკიფოროვი
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აშშ-ისა და კანადის ინსტიტუტის განყოფილების გამგე

მინდია უგრეხელიძის ფართო ერუდიცია და მეცნიერული აზროვნების დიდი პოტენციალი სქვივის მთელი გამოკვლევის მანძილზე.

შალვა ჩხარტიშვილი
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე

წიგნში უპირატესად ახლებურად არის გადაწყვეტილი პრობლემები; ასევე გამდიდრებულია ადრე გამოთქმულ შეხედულებათა არგუმენტაცია. მინდია უგრეხელიძის ნაშრომი ახალი ფურცელია გაუფრთხილებლობის ბუნების შესწავლაში.

- ვლადიმერ მაყაშვილი
მეცნიერ-იურისტი, სისხლის სამართლის სპეციალისტი

ავტორის ინტერესთა მასშტაბები და მსჯელობათა სიღრმე, საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ მინდია უგრეხელიძის გამოკვლევა არსებითად წინ გადადგმული ნაბიჯია გაუფრთხილებლობის რაობის შესწავლაში.

კაზიმეჟ ბუჰალა
კრაკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩვენს წინაშეა უაღრესად საინტერესო წიგნი, აქტუალური პრობლემატიკის წარმოჩენით და საკითხის ამომწურავი შესწავლით.

ჟანი ეკერტი
სისხლის სამართლის პროფესორი (საფრანგეთი)

შესახებ წიგნისა: „ბრალი საფრთხის დელიქტებში“



ნაშრომი დაწერილია მაღალ თეორიულ დონეზე, მასში შესანიშნავადაა გადმოცემული მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი და კრიტიკულადაა გარჩეული სპეციალური ლიტერატურა. წამოყენებული დებულებები დამაჯერებლად არის დასაბუთებული. ნაწერი კარგად იკითხება, რაც იოლად ხელმისაწვდომს ხდის სტუდენტი ახალგაზრდობისათვის.

მინდია უგრეხელიძის წიგნი „ბრალი საფრთხის დელიქტებში“ დიდ სარგებლობას მოუტანს მკითხველს.

- ოთარ გამყრელიძე

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე

შესახებ წიგნისა: „აშშ კონსტიტუტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა“

ამ ნაშრომისა და „აშშ დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ამასწინანდელი მშვენიერი თარგმანის სახით მინდია უგრეხელიძემ ქართველ ხალხს უძღვნა ძვირფასი საჩუქარი, რომლის მიზანია ამერიკის მმართველობისა და ისტორიის უკეთ გაგება. მისი, როგორც იურისტის, ფილოლოგისა და მწერლის პროფესიონალიზმი და აზროვნება, დიდად არის დაფასებული მათ მიერ, ვინც პირადად იცნობს ბატონ მინდიას და ამას მოწმობს წინამდებარე გამოცემაც.

- უილიამ კორტნი

აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

შესახებ თარგმანისა:

„აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“

„დღეს ამ დოკუმენტის ქართულ თარგმანს გავეცანი. მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ მინდია უგრეხელიძეს. მან ხელახლა მაზიარა ამ სწორუპოვარი პოლიტიკური თხზულების სულისკვეთებას; გულწრფელად აღმაშფოთა ტირანის ზომაგადასული უსამართლობით; შემახსენა, თუ რა „ხელშეუვალი უფლებანი გვიბოძა აზრთა გამრიგემ“ და, რაც მთავარია, კიდევ ერთელ განმაცდევინა ქართული ენის უსაზღვრო სილამაზე“.

- გელა ჩარკვიანი
დიპლომატი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე

„ამგვარ თხზულებათა თარგმნა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. მე მიხარია, რომ წინამდებარე თარგმანში ზუსტადაა გადმოცემული ჯეფერსონის ტექსტის აზრობრივი მნიშვნელობა და შენარჩუნებულია მისი ბრწყინვალე სტილი და ლექსიკური თავისებურებანი. თარგმანის წარმატება განპირობებულია ქართული ენის სიმდიდრითა და მთარგმნელის მაღალი პროფესიონალიზმით. გარდა ამისა, წარმატების საწინდარია ადამიანთა სწრაფვა თავისუფლებისა და ღირსებისაკენ“.

- ლორენს კერი
საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე

ОГЛАВЛЕНИЕ

ლია სიხარულიძე

განსაკუთრებულად ფასეულ ხელწერათა მხატვარ-რესტავრატორი

ჯანსუღ ჩარკვიანი

მინდიას

დრონი შორეთს მიდიან,
გზებით გასაკვირველით,
პირველებში მინდია,
არის ნაღდად პირველი.
ის თავისი მზით ცხოვრობს,
სულ თავისი გზით ევლოს,
პირველია მიტომ, რომ
არასდროს არ პირველობს!

რუსლან მიქაბერიძე

სამოცდათხუთმეტოსან უგრეხელიძეს

(იუმორისტული შტრიხები პორტრეტისათვის)

ლარებს და ევროებს შორის
თუმცა სხვაობა დიდია,
მაინც ღატაკი სამშობლო
ფეხზე არ დაგიკიდია.
ცდილობ „დახუფულ“ თავებში
ერუდიციის შეყვანას,
და უწერ კონსტიტუციას
შეშლილ-შეცდენილ ქვეყანას.
შენი რიონის პირიდან
შორს და მაღლა ხარ წასული,
„ნიჭი ძამიკო“ მოგდგამს და
ქუთაისური წარსული.
გულს ნუ გაიტეხ თუ ხშირად
დაფასება გაქვს გვიანი,
უწიგნურ „ქვეყნის მმართველებს“
არ უყვართ „კადრი“ ჭკვიანი.
მრავალ მთავრობებ გავლილი,
სამოცდათხუთმეტისა ხარ,
რაც გინდა იყო, ის არ ხარ,
და რაც არ გინდა, ისა ხარ.
კანონი ქონდათ შუმერებს,
ქალდეველებს და ასურებს,
ჩვენში არავინ კითხულობს,
არც ნებით ვინმე ასრულებს.
და რადგან ყველა მთავრობა
„სურნელით“ ერთი ფინთია,
რადგან ჯერ კიდევ ჩვენს თავზე
მძიმე სოც-პოლიტბინდია,
მიდი, წერე და იკითხე,
ბრძენო და „ძველო“ მინდია!

საჰაერო მოქალაქეობა

საქართველო

ქალაქ ქუთაისის მერია

განკარგულება N 612 *23. 09. 96*

მინდია უგრეხელიძისათვის ქუთაისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ

მინდია უგრეხელიძე დაიბადა 1942 წლის 19 მაისს ქ.ქუთაისში. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა. 1963 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1995 წელს გაიარა გერმანულენოვანი მომზადების სპეციალური კურსი საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის ფრაიბურგის გოეთეს ინსტიტუტში (გფრ).

პროფესიული შრომითი საქმიანობა საქართველოს ადვოკატურაში დაიწყო.

1963-1976 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ჯერ უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

1974 წლიდან იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია; 1976 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი. 1995 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამედროვე სამართლის კათედრის გამგე. ლექციების კურსს უძღვება სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიის, სისხლის სამართლის

პოლიტიკის, საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ახალი კანონმდებლობის მოდელირების დარგებში.

1983 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორია.

1988-1990 წლებში მ. უგრეხელიძე მთავარი რედაქტორი გახდა ჯერ გაზეთ „კომუნისტისა“ შემდგომ „ახალი საქართველოსი“, მის „საქართველოს რესპუბლიკად გარდაქმნამდე.

1990 წლის 28 ოქტომბერს იგი აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მრავალპარტიული პარლამენტის დეპუტატად, ხოლო 1990 წლის 27 დეკემბერს – ამ პარლამენტის მიერ ახლად არჩეული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ.

საქართველოში და უცხოეთში ქართულ და უცხოურ ენებზე (რუსულად, ფრანგულად, გერმანულად, ესპანურად და პოლონურად და სხვ.) გამოქვეყნებული აქვს 70-მდე მეცნიერული ნაშრომი და თარგმანი. მათ შორის 3 მონოგრაფია. იგი არის აშშ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მთარგმნელი, თანაავტორი აშშ-ის კონსტიტუციორი სამართლის სახელმძღვანელოს ქართული თარგმანისა. „ამერიკული დემოკრატიისა“ და აშშ-ის კონსტიტუციის ქართული თარგმანის რედაქტორი.

მიკუთვნებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემია. მინიჭებული აქვს „უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლის“ წოდება; 1995 წელს, როგორც მაქს-პლანკის

საერთაშორისო საზოგადოების სტიპენდიანტს საკვლევი ჰონორარი ჰქონდა გამოყოფილი და მუშაობდა საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს-პლანკის ინსტიტუტში ქ. ფრაიბურგში (გფრ).

არის „იურისტთა მსოფლიო ასოციაციისა“ და „სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის“ წევრი; არჩეულია ოსტინისა (აშშ) და ჰიუსტონის (აშშ) საპატიო მოქალაქედ.

როგორც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სასამართლო ხელისუფლების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, სამართლებრივი რეფორმის სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარე და სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის (AIDP) ქართული ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელი, მონაწილეობდა და მონაწილეობს საქართველოს ახალი კანონმდებლობის შემუშავებაში; რუს მეცნიერ იურისტებთან ერთად თანაავტორია რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის თეორიული მოდელისა.

მინდია უგრეხელიძე არის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის, ჟურნალ „სამართლისა“ და გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის“ სარედაქციო კოლეგიათა წევრი.

მრავალმხრივი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიუხედავად მინდია უგრეხელიძე მშობლიური ქალაქის, მისი სისხლსავსე ცხოვრების თანამონაწილეა, მთელი არსებით იზიარებს ჭირსა და ლხინს.

მაღალნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, ახალგაზრდობის აღზრდისადმი გამოჩენილი მაღალპროფესიული მიდგომისა და მშობლიური ქალაქის ცხოვრებაში აქტიური პოზიციისათვის მინდია გურამის ძე უგრხელიძეს მიენიჭოს ქუთაისის საპატიო მოქალაქის წოდება.

ქ. ქუთაისის მერი **თეიმურაზ შაშიაშვილი**

ოსტინი (აშშ) 1991

საპატიო მოქალაქეობა

ქალაქი ოსტინი

მივესალმებით ქალაქ ოსტინის ხელისუფალთა სახელით ყველას, ვისაც წინამდებარე სიგელთან ექნება შემხებლობა: იცოდეთ, რომ

მინდია უგრეხელიძეს

აწ და მარადის მინიჭებული აქვს

ქალაქ ოსტინის საპატიო მოქალაქეობა

ამ ქალქაქის კანონების შესაბამისად ისარგებლებს ყველა უფლებით, პრივილეგიით და საზღაურით, რომელიც ხელეწიფება ზემოხსენებულ ოფისს, და მას მიეგება მაღალი პატივი ტეხასის დედაქალაქის მოქალაქეთა გონებასა და გულებში.

აღიარებად ზემორე თქმულისა მას ებოძა მოქალაქეობის ეს მოწმობა.

წინამდებარე საბუთს ხელს ვაწერ და ვამოწმებ ქალაქ ოსტინის დიდი ბეჭდით, რათა დასტურვყო ესე ყოველი,

ივნისის თვის მე-18 დღეს 1991 წლისა.

ოსტინის მერი **ლიი ქუკი**

მინდია უგრეხელიძე

ჩვენ, ქალაქის სათანადოდ უფლებამოსილ ოფიციალურ პირებს ბედნიერება გვაქვს გიბოძოთ თქვენ ტეხასის

ქალაქ ჰიუსტონის საპატიო მოქალაქეობა

აღიარებად იმ თვალსაჩინო წარმატებისა, რომელსაც მიაღწიეთ თქვენს ღირსეულ საქმიანობაში და იმ მნიშვნელოვანი წვლილის დაფასების ნიშნად, რომელიც მიგიძღოდათ და მიგიძღვით თქვენს უანგარო საზოგადოებრივ მოღვაწეობაში კაცობრიობის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ.

გარდა ამისა, ღრმა პატივისცემის ნიშნად, არჩევანი შევაჩერეთ თქვენზე, რათა იღვაწოთ, როგორც სრულუფლებიანმა. კეთილ ნების დესპანმა სხვათათვის ჩვენი ქალაქის იმ ჭეშმარიტი სტუმართმოყვარეობისა და მეგობრული სულისკვეთების გასაცნობად, რომელიც ჰიუსტონში სუფევს და იმ უპირატესობათა და შეუზღუდავ შესაძლებლობათა გასაცხადებლად, რასაც ჩვენი ქალაქი გთავაზობთ.

ამის დასტურია ჩვენი ხელმოწერები და ქალაქ ჰიუსტონის ოფიციალური ბეჭედი, წინამდებარე დოკუმენტს რომ ამოწმებს ივნისის მე-6 დღეს 1991 წლისა.

ქალაქ ჰიუსტონის მერი **ქეთრინ ვეტმაიერი**
საოლქო საბჭოს წევრები
გაფართოებული საბჭოს წევრები

ქალაქი პასადინა

ბოძების სიგელი

ვინაიდან, ფრიად პატივცემული მინდია უგრეხელიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა; და

ვინაიდან, ფრიად პატივცემული მინდია უგრეხელიძე არის უმაღლესი კვალიფიკაციის უმწკვლო მოსამართლე, რომელიც მოწოდებულია სამართლიანად და თანასწორად განახორციელოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და სამართლის უზენაესობა; და

ვინაიდან, ფრიად პატივცემული მინდია უგრეხელიძე იღვწის საქართველოს ახალი კანონმდებლობის შესამუშავებლად, როგორც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სასამართლო რეფორმის ჯგუფის ხელმძღვანელი და სამართლებრივი რეფორმის სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარე; და

ვინაიდან, ფრიად პატივცემული მინდია უგრეხელიძე არის სამართლის სახელგანთქმული პროფესორი და ავტორი მრავალი მეცნიერული გამოცემისა სამართლის დარგში; და

ვინაიდან, ფრიად პატივცემული მინდია უგრეხელიძე ესტუმრა დიდებულ ქალაქ პასადინას (კალიფორნია) სასამართლო განათლების პროგრამით;

ამის გამო, მე, უილიამ პაპარიანი, პასადინას მერი, ქალაქის საბჭოს სახელით პატივს მივაგებ

ფრიად პატივცემულ მინდია უგრეხელიძეს

საქართველოში დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისა და დემოკრატიისათვის გაწეული ღვაწლის გამო და ვანიჭებ მას ქალაქ პასადინას საპატიო მოქალაქეობას.

დათარიღებულია 1996 წლის 5 ოქტომბრით.

ქალაქ პასადინას მერი

უ.მ. პაპარიანი

დამოწმებულია ქალაქის კლერკის მიერ

სამეცნიერო ნაშრომი

პოსტკრიმინალური ემოციური განცდების ფენომენოლოგია
(რეტროსპექტული მეთოდის შესახებ სისხლის სამართალში)

მინდია უგრეხელიძე

გეგმა

1. პოსტკრიმინალურ ემოციურ განცდათა ცნება და მნიშვნელობა
2. „ნაბანი ბავშვის“ ისტორიული ხვედრი ემოციური სფეროსათვის სამართალში
3. „რეტროსპექტული მეთოდის“ შესახებ
4. ემოციური სფეროს რეანიმაციისათვის სისხლის სამართალში
5. „ემოციური კვალი“, „ბრალის გრძნობა“, „გრადუალური განზომილება“
6. „ოქროს შუალედი“ და ზომიერება – ოპტიმიზმის წყარო ემოციათა ფსიქოლოგიისათვის სამართალში

1. პოსტკრიმინალური ემოციური განცდების ცნებაში ნაგულისხმევია სუბიექტის პირველადი ფსიქოლოგიური რეაქცია მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. იგი უშუალოდ კვალში მიზდევს დანაშაულებრივ (ბრალეულ) ფსიქიკურ პროცესებს და წინ უსწრებს ჩადენილი უმართლობის ცნობიერ და საბოლოო თვითშეფასებას, თუმცა, მისი არაცნობიერი ბუნების ძალით, მაინც ახდენს გავლენას მოქმედი პირის შემდგომ ქცევაზე. პოსტკრიმინალური ემოციური განცდები უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, სუბიექტის განცდებისაგან დანაშაულის **ჩადენამდე** და **მის შემდეგ**, ხოლო, მეორე მხრივ, – **პოსტკრიმინალური ქცევისგან**[1], რომელიც შეიძლება გამოიხატოს დამნაშავის ნებაყოფლობით გამოცხადებით, ბრალის აღიარებით, ქმედითი მონანიებით, წინასწარი შეცნობით არაბრალეული პირის განთქმით და ა.შ.

1 დაწვრილებით იხ. Сабитов Р.А. Посткриминальное поведение. Томск, 1985 გვ. 8-30

პოსტკრიმინალური ემოციური განცდები არ განეკუთვნება უშუალოდ დანაშაულებრივი ქცევის სტრუქტურას; მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმით, რომ:

- აადვილებენ ზოგიერთი ტიპის უმართლობათა ქცევითი მექანიზმის დადგენას
- აფართოებენ, აზუსტებენ, ზოგჯერ კი ცვლიან ჩვენს ჩვეულ წარმოდგენებს სისხლის სამართლის მთელი რიგი ცნებებისა და ინსტიტუტების შესახებ (სუბიექტური მხარის ნაირსახეობანი, თანამონაწილეობა და შუალობითი ამსრულებლობა, საფრთხის დელიქტები, სასჯელი და სხვ.); შესაძლებელს ხდიან რეციდივული დანაშაულობის პროგნოზირებასა და პროფილაქტიკას
- დამატებით პირობებს ქმნიან მსჯავრდებულთა მიმართ სისხლისსამართლებრივი და პენიტენციური ღონისძიებების დიფერენციაციის, ინდივიდუალიზაციისა და რაციონალიზაციისათვის
- ხელს უწყობენ განაჩენის დამაჯერებელ დასაბუთებას; შეუძლიათ ორიენტირად გამოდგნენ საგამოძიებო ვერსიებისა და აღკვეთის ღონისძიებათა შერჩევისას
- გვეხმარებიან, უფრო ღრმად ჩავწვდეთ დამნაშავის (მსჯავრდებულის) თვითშეფასების ლოგიკას.

ასეთია პოსტკრიმინალური ემოციური განცდების შესწავლისა და გათვალისწინების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური, პროცესუალური, კრიმინალისტიკური და სამართლებრივ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა.

ემოციური განცდების მრავალმხრივობა და, აქედან გამომდინარე, კომპლექსური მნიშვნელობა მიზანშეწონილს ხდის ამ ცნების შესწავლას იურიდიული მეცნიერების ყველა დარგში, სადაც კი მისი გამოყენება შეიძლება სასარგებლო გამოდგეს. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება სისხლის სამართალს, რომლის წიაღშიც ის ჩაისახა და რომელშიც მისი გამოყენება შესაძლებელია თეორიული და პრაქტიკული საკითხების გაცილებით ფართო სპექტრის მიმართ. განსაკუთრებით მჭიდროდ ემოციური განცდები უკავშირდება უმართლობის სუბიექტურ მხარეს, უპირატესად, მის ნაირსახეობათა ურთიერთგამიჯვნის პლანში. და თუ დღემდე ეს კავშირი საგანგებოდ არ შეისწავლებოდა, ეს იმიტომ, რომ დიდი ხნის განმავლობაში სუფევდა ემოციური სფეროს უგულებელყოფა. კანონები, რომლითაც ემოციური პროცესები წარიმართება, დიდი ხნის განმავლობაში არ შეისწავლებოდა სისტემატურად და სისტემურად. „ამ მოვლენების შესწავლას მოკლე ისტორია აქვს, ლამის სულ რამდენიმე ათწლოვანი“.[2]

2. განსახილველი საკითხის ისტორია მრავალმხრივ არის საგულისხმო; ის მწარე გაკვეთილია მომავლისათვის. საქმე ისაა, რომ ერთგვარ ემოციონალურ ნიჰილიზმს სამართლის სფეროში წინ უსწრებდა მჩქეფარე წარმატება სამართლის ფსიქოლოგიური თეორიისა, რომლის ქვაკუთხედი ყოველთვის გახლდათ სწორედ „ემოციური ფსიქიკა,“ ხოლო სამართლებრივი სინამდვილის შესწავლისა და ანალიზის ლამის ერთადერთი მეთოდი იყო თვითდაკვირვება.[3] გასული საუკუნის დასაწყისში სამართალმცოდნეთა მთელი თაობები ამ თეორიაზე იყო აღზრდილი.

დროთა განმავლობაში ვითარება შეიცვალა. პირველ აღფრთოვანებათა დაცხრომის კვალობაზე, რომელიც განპირობებული იყო გარეგნულად მომხიბლავი კონცეფციის ერთგვარი „ამაღლებულობითა“ და ორიგინალურობით, საღმა აზროვნებამ იურისტებს თანდათან დაანახა მისი მეთოდოლოგიური მანკიერებანი. შეუძლებელი გახდა დიდ ხანს

2 Райковский Я. Экспериментальная психология эмоций. М., 1979, с. 354 (თარგმანი პოლონურიდან)

3 Петражицкий Л.И. Введение в изучение права и нравственности. Основы эмоциональной психологии. Изд. третье. СПБ., 1908

თმენა იმისა, რომ ფსიქოლოგიური თეორია ემოციური საწყისის აშკარა ჰიპერტროფირებას ახდენდა, როდესაც დაუმსახურებლად აჰყავდა ის ყოველი ადამიანური ქცევის უნივერსალური „ძრავის“ (მამოძრავებელი ძალის) რანგში. თანაც, ფსიქიკის ისეთ სპეციფიკურ ფუნქციებს, როგორიცაა ინტელექტი და ნებელობა ეთმობოდა ოდენ მოკრძალებული როლი დამატებითი, დაქვემდებარებული და დამხმარე ფსიქიკური პროცესებისა, რომლებიც უფრო სრულყოფილი ემოციური შეგუების მიზანს ემსახურებიან.[4] თვით სახელმწიფო და სამართალიც კი ფსიქოლოგიური თეორიის მიერ ცხადდებოდა ემოციური ფსიქიკის აპრიორული მოცემულობის ერთგვარ პროდუქტად. სამართლის აპრიორულ-ემოციური თეორიის ფუძემდებლისა და მამამთავრის **ლევ პეტრაჟიცკის** განცხადებით, „სამართლებრივი მოვლენების დაკვირვების სათანადო და ერთადერთ შესაძლო საშუალებად შეიძლება ვცნოთ თვითდაკვირვების, ინტროსპექციის მეთოდი.[5]

აპრიორულ-ემოციური თეორიის უკიდურესი მეტაფიზიკური სუბიექტივიზმი ვერანაირად ვერ ეგუებოდა, ერთი მხრივ, დიალექტიკური აზროვნების მზარდ ტენდენციას, ხოლო, მეორე მხრივ – ობიექტურ მოვლენათა დადგენის (მტკიცების) აუცილებლობას. ამიტომ თვით ცხოვრებამ დაიწყო მისი განდევნა მეცნიერული ასპარეზიდან. ამასობაში ინერციით ჩაისახა ერთგვარი უნდობლობა არა მარტო **ემოციონალიზმის**, როგორც მიმართულებისადმი, არამედ ყოველი ემოციურის მიმართ საზოგადოდ. ამის შედეგად, მრავალი იურიდიული საკითხის გადაწყვეტა ემოციური სფეროს სათანადო გაანალიზებისა და გათვალისწინების გარეშე, ჩვეულ მოვლენად იქცა.[6] ამ მიმართებით ლამის ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა აფექტით ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის თემა, რომლის გაშუქებისას დამნაშავის ემოციური განცდები ყოველთვის მიიღებოდა მხედველობაში, თუმცა, მათი გამოწვლილვით, ცალკე, საგანგებოდ შესწავლა გაცილებით გვიან დაიწყო.[7] სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებშიც კი, რომლებიც თავიანთი დანიშნულებით მოწოდებულნი არიან, ასახავდნენ, როგორც საკუთრივ იურიდიული მეცნიერების, ისე მომიჯნავე მეცნიერებათა უახლეს მიღწევებს, დანაშაულის სუბიექტური მხარე შეისწავლებოდა ემოციური სფეროს გაუშუქებლად. თუმცა, ჯერ კიდევ **იმანუილ კანტის** დროიდან იყო დაძლეული ფსიქიკის არისტოტელისეული დაყოფა **ინტელექტად** და **ნებელობად**. ეს მოასწავებდა ახალ, სამწევროვან კლასიფიკაციაზე გადასვლას და ემოციური სფეროს გამოყოფას ადამიანის ფსიქიკის მესამე, დამოუკიდებელ და სრულფასოვან სეგმენტად. მხოლოდ გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულისა და 80-იანი წლების დასაწყისის სახელმძღვანელოებმა დაიწყო სპეციალური მონაკვეთის ან აბზაცების დათმობა ემოციების ცნებისა და მნიშვნელობისადმი იმ თავებში, რომლებიც ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს განეკუთვნებოდა. მაგრამ ყველაზე უფრო დამაიმედებელი ნიშანი ემოციური სფეროს მიმართ დამოკიდებულების მკვეთრი შეცვლისა იყო სისხლის სამართლის კანონმდებლობის სარეფორმო პროექტებში ინოვაციების შემოთავაზება. ასე, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის თეორიულ მოდელში გამოჩნდა მუხლი 27. პ.2, რომელიც ამბობს: „მოქმედი პირის ბრალის ხარისხი, რომელიც გამოიხატება ბრალის ფორმებით, მოტივებით, მიზნებით და ემოციური განცდებით (*კურსივი ჩემია – მ.უ.*), მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრისა და სასჯელისა თუ

4 იხ. ნანეიშვილი გ. სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციური საფუძვლები. – ჟ. „საბჭოთა სამართალი,“ 1979, №5, გვ. 41

5 პეტრაჟიცკი, ლ. ი., მით. ნაშრ, გვ. 225

6 იქვე გვ. 31

7 იხ. ვაჩეიშვილი ა. დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბილისი, 1957, გვ. 34

სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიებათა დანიშვნისას."[8] თუ ეს დებულება ნორმატიულ ასახვას ჰპოვებდა სისხლის სამართლის კოდექსებში, ეს იქნებოდა ისტორიაში პირველი საკანონმდებლო აღიარება ემოციური განცდათა მნიშვნელობისა მისი გვარეობითი ცნების სახით, ნაცვლად ცალკეული ემოციური განცდების გათვალისწინებისა (უპირატესად, აფექტის სახით), როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა და ხდება.[9] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 60-70-იან წლებში ფართოდ გაშლილმა კრიმინოლოგიურმა კვლევა-ძიებამ თავის ორბიტაში მოაქცია დამნაშავის ემოციური სფეროს შესწავლა დამნაშავის პიროვნების შესახებ მოძღვრების ჩარჩოებში (კრიმინოლოგიური ასპექტი). ამ გარემოებამ ასევე შეუწყო ხელი ემოციური სფეროს მიმართ მეცნიერული ინტერესის ზრდას.

დამნაშავის ემოციური განცდების პრობლემისადმი სისხლისსამართლებრივმა და კრიმინოლოგიურმა მიდგომებმა, ასევე დამნაშავის თვითშეფასების კრიმინალურ-ფსიქოლოგიური შესწავლის ზოგიერთმა შედეგმა[10] ნათელყო პრობლემის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტის გაშუქების პერსპექტიულობა. ეს გახლავთ **პოსტკრიმინალური ემოციური განცდების ფენომენოლოგია**.

3. ამ ბოლო ხანებში სულ უფრო იგრძნობა იმის მოთხოვნილება, რომ დანაშაულისა და დამნაშავის პიროვნების შესწავლის **პროსპექტული** მეთოდი (პირობებიდან და მიზეზებიდან საკუთრივ დანაშაულისაკენ) შეივსოს და გამდიდრდეს **რეტროსპექტული** მეთოდის მომარჯვებით, რომელიც თავის მეცნიერულ ღირებულებას მკაფიოდ ამჟღავნებს პოსტკრიმინალური ემოციური განცდების შესწავლისას. მაინც, რაში გამოიხატება, კერძოდ, ე.წ. რეტროსპექტული მეთოდის არსება, ფუნქცია და მნიშვნელობა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა საწყის პუნქტად მივიჩნით, თუ მეტი არა, შემდეგი ოთხი პოსტულატი:

- ადამიანის ყოველი ქცევა, დანაშაულებრივის ჩათვლით, წარმოადგენს აქტს სინამდვილისადმი ემოციური დამოკიდებულებისა (სუბიექტური დამოკიდებულება ობიექტურისადმი, ანუ ობიექტურსა და სუბიექტურს შორის ურთიერთმიმართება)
- დამნაშავის ნამდვილი გრძნობებსა და განცდებზე მსჯელობა შეიძლება ვიქონიოთ ოდენ მისი ქცევების მიხედვით
- დამნაშავის ქცევა უნდა გვესმოდეს, როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი საქციელი დანაშაულის ჩადენამდე, მისი ჩადენისას და ამის შემდეგ
- დანაშაულის ჩადენამდე, მისი ჩადენისას და ამის შემდეგ ქცევას შესაძლოა თან ახლდეს ან წარმართავდეს ემოციური განცდები, რომლებიც უბრალოდ კი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ სრულ შეუსაბამობაში იმყოფებიან ერთმანეთთან.

ამ ბოლო დებულების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან, არც თუ იშვიათად გვიხდება იმის გამორკვევა, თუ რომელი გამოხატავს ყველაზე მეტად, ზემოთ ჩამოთვლილი ემოციური განცდებიდან, დამნაშავის ნამდვილ სახეს; რამდენად შემთხვევითი იყო ან კანონზომიერი ჩადენილი დანაშაული, მოცემული სამართალდამრღვევის პიროვნებისა და განწყობებისა; შეესაბამებოდა თუ არა მთლიანად, ან თუნდაც ნაწილობრივ, მოქმედი პირის სუბიექტური განწყობა (დისპოზიცია) ობიექტურ მხარეს – მოვლენათა რეალურ მსვლელობას გარე სამყაროში.

8 Уголовный закон. Опыт теоритического моделирования. М., 1987, с. 241-242

9 იხ. შავგულიძე თ. გ. აფექტი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თბილისი, 1973 (რუსულ ენაზე); Сидоров Б. В. Аффект: его уголовно-правовое и криминологическое значение, Казань, 1978; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I). „მერიდიანი", თბ. 2014, გვ. 58-61

10 Советское уголовное право. Общая часть. М., 1977, с. 190; Советское уголовное право. Общая часть. М., 1982, с. 128

* * *

პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ბრალდებით 200 საქმის შერჩევით შესწავლამ მეტად საგულისხმო სურათი გვიჩვენა, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს გარკვეული კანონზომიერება განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევებში.

უმეტესწილად (100-დან 86 შემთხვევაში), განზრახ ქმედებათა ობიექტურ მხარეს მომზადების საწყის სტადიაზევე თან ახლდა დადებითი ემოციური განცდები, განხორციელებული ოპერაციების ემოციური მოწონების სახით.[11] უფრო მეტიც, დანაშაულის დამთავრების მომენტში, როდესაც სუბიექტი პირველად ხვდება თავის თავს დამნაშავის ახალ „სტატუსში" და თუნდაც ამიტომ აღარ შეიძლება იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი, ის კმაყოფილების გრძნობას განიცდიდა იმით, რომ მიაღწია საწადელს, თუმცა იცოდა, რომ საზოგადოებისათვის მიუღებელი საქციელი ჩაიდინა. შეგროვილი მასალების მიხედვით, ამას ადასტურებს სრულიად სხვადასხვა ქმედებანი, გამოთქმები, ჟესტიკულაცია და მიმიკური გამოხატულებანი. და თუმცა შემდგომ, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში, მეტადრე „განსასჯელის საბოლოო სიტყვაში" საკმაოდ ხშირად ფიგურირებდა სიტყვები მონანიებისა „მომხდარი უბედურების" თუ „თავს გადამხდარი სისულელის" შესახებ, არ შეიძლება მათი ყოველთვის უკრიტიკოდ დაჯერება და გათვალისწინება. ეს მარტო იმით როდია ნაკარნახევი, რომ ისინი პოსტკრიმინალურ ანუ ქცევის შემდგომ ემოციურ განცდებს განეკუთვნება.[12] მთავარი აქ სულ სხვა რამაა. ჯერ ერთი, სიტყვები როდია ყოველთვის გულწრფელი[13] და სანდო. მერე მეორე, სწორედ ქცევის უშუალოდ შემდგომი ემოციური განცდები გამოხატავენ ადამიანის ნამდვილ დამოკიდებულებას თავისი თავისა და გარეშემყოფთა მიმართ ესოდენ „შედედებული," შედუღაბებული, ინტეგრირებული და განუყოფელი ფორმით. მოგვიანებით გაცნობიერებული განცდები და შეფასებანი კი მნიშვნელოვნად სცილდება და განასხვავებს მათ. ეს აიხსნება ემოციების ეტიოლოგიითა და იმით, რომ ისინი „მთლიანური" და მკაფიო ფორმით გამოხატულ სუბიექტურ მოცემულობას წარმოადგენენ.[14]

* * *

დიამეტრულად საწინააღმდეგო სურათი იკვეთება სისხლის სამართლის საქმეებიდან გაუფრთხილებლობით დანაშაულში ბრალდების გამო. 100-დან 98 შემთხვევაში შესწავლილი საქმეებისა ფიგურირებს დაშვებული შეცდომების ემოციური მიუღებლობის გამომხატველი ვერბალური და/ან ჟესტიკულაციური გამოხატულებანი („ეს რა ჩავიდინე," „მკვლელი ვარ," „თუ ხალხი ხართ, მესროლეთ, მომკალით;" თავ-პირში ხელის დაშენა, თითზე კბენანი, კედელზე თავის ხლა და სხვ.). სამ შემთხვევაში, როდესაც საქმე შეეხებოდა ახლო ნათესავის, აგრეთვე, მეგობრის გაუფრთხილებლობით მოკვდინებას, ემოციურმა განცდებმა გაოგნების ისეთ ხარისხს მიაღწია, რომ ცოდვაში გარეულებმა თვითმკვლელობით აღისრულეს სიცოცხლე.[15] ყველაზე უფრო ტრაგიკული მაგალითი გახლავთ

11 შვიდი სხვა საქმიდან სამში ვერ შევძელით ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვება, ოთხში კი დარეგისტრირდა უკმაყოფილების გამოხატული გრძნობა მესამე პირისთვის ზიანის ევენტუალური მიყენების გამო

12 იხ: Сахаров А.Б. О личности преступника и причинах преступности в СССР. М., 1961; Игошев К.Е. Опыт социально-психологического анализа личности несовершеннолетних правонарушителей. М., 1967; Личность преступника, М., 1975

13 იხ.: Личность преступника как объект психологического исследования. Сборник научных трудов. М., 1979

14 ემოციური განცდის მეტისმეტი ხანგრძლივობის გამო ლ.ნ. ტოლსტოის რომანის „ვოსკრესენიეს" ცნობილ პერსონაჟს ნეხლიუდოვს ასევე ვერ მივაკუთნებთ პოსტკრიმინალურ კატეგორიას, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით

15 მსგავსი შემთხვევები მარტო მხატვრულ და დოკუმენტურ ლიტერატურაში კი არა, არამედ გამოქვეყნებულ სასამართლო პრაქტიკაშიც არის აღწერილი (გადმოცემული). იხ.: მაგალითად, „бюлетень Верховного суда СССР," 1979, №1, с. 29

ისტორიკოს გ.გ.-ის ვაჟის ჯ.გ.-ის შემთხვევა, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჯ.გ.-მა უცაბედად სიცოცხლეს გამოასალმა დედამისი ლ.დ., ხოლო მამის შეძახილზე – „რა ქენი, ბიჭო, დედა მოკალი?!“ შვილმა უმალვე თავი მოიკლა იმავე იარაღით. ეს მოხდა თბილისში 2004 წელს.

როგორც წესი, თავიანთი გაუფრთხილებლობით ქცევათა თვითგაკიცხვა და დაგმობა უკავშირდებოდა მონანიების გრძნობას; თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანი გახლდათ უბრალოდ სინანულის, წუხილის, დანაღვლების, სასჯელის შიშისა და სხვა განცდები. სასჯელის შიშის გავლენის ქვეშ, მოქმედი პირი ზოგჯერ განსაცდელში ტოვებდა მსხვერპლს და ემალებოდა მართლმსაჯულებას. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა თავისი ქცევის უარყოფითი თვითშეფასების განცდა. პირველადი ემოციური რეაქცია უცაბედი მარცხის შემდეგ ყოველთვის უარყოფითია და მხოლოდ ამის კვალობაზე იწყებს ამოქმედებას ფსიქიკის ე.წ. „დაცვითი მექანიზმები,“ რომელთა მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს სხვა შემგუებლურ ფსიქიკურ პროცესებად და მდგომარეობებად მისი ტრანსფორმაცია.

საკმარისია, ზემოთ მოყვანილი ემპირიული მასალა მივუსადაგოთ ემოციების შემგუებლურ-რეგულაციურ ფუნქციას, რაც მდგომარეობს წონასწორობის აღდგენაში ორგანიზმსა (ინდივიდსა) და გარემოს (სიტუაციას) შორის, რომ უმალვე საცნაური გახდება მათი სანდოობა და საიმედობა. მართლაც, ქმედებისადმი „მოწონებითი ემოციური დამოკიდებულება“ (+ ნიშნით) განზრახი დანაშაულის დროს იმით აიხსნება, რომ სუბიექტმა შეძლო თავის სასარგებლოდ მოეხდინა გავლენა მოვლენათა მსვლელობაზე და შეეცვალა ვითარება, რომელიც მანამდე არ აკმაყოფილებდა (განაწყენება, შეურაცხყოფა, დათრგუნვილობა, სიღარიბე, აღიარება არა აქვს სათანადოდ ან სათანადოდ დაფასებული არ არის) და პირიქით, ქმედებისადმი „დაწუნებითი ემოციური დამოკიდებულება“ (- ნიშნით) გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქცევის მიმართ წარმოდგება სუბიექტის ნამდვილ ნება-სურვილთან შეუსაბამო მოვლენათა მოულოდნელი შემობრუნებიდან, როდესაც მისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობას ენაცვლება უსიამოვნებანი თუ სხვა არასასურველი გართულებანი.

არის თუ არა ეს კანონზომიერება აბსოლუტური ხასიათის, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე? უთუოდ არა! შესაძლებელია თეორიული ვერსია იმისა, რომ უმალვე, განზრახი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მოქმედმა პირმა თავის მსხვერპლში მისთვის ძვირფასი ადამიანი ამოიცნოს; ანდა, პირიქით: გაუფრთხილებლობით სამართალდამრღვევმა – მოსისხლე მტერი, რომელსაც დიდი ხანია დაეძებდა მოსაკლავად. ბუნებრივია, რომ მსგავსი გარემოებების არსებობისას, ზემორე ორი სამართალდამრღვევის პოსტკრიმინალური ემოციური მდგომარეობანი და განცდები შეენაცვლებიან ერთმანეთს. მაგრამ ეს იქნება წესიდან გამონაკლისი. საერთო კანონზომიერების მიხედვით კი, განზრახი და გუფრთხილებლობითი ქმედებანი წარმოშობენ სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციურ განცდებს დადებითი და უარყოფითი (+ ან -) ნიშნით. ფსიქოლოგიურად და ლეგიმეტრიულად ასეთი შედეგი ადვილად აიხსნება. ფსიქოლოგიური ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ჩადენილი ქმედება და მისი შედეგი იმთავითვე ჩართულია მოტივაციის პროცესში; ამიტომ აპრიორულად განპირობებულია მათი დადებითი (მოწონებითი) ემოციური შეფასება. მაგრამ შეუძლებელია ეს ხდებოდეს გაუფრთხილებლობისას, რომლის სპეციფიკას სწორედ ის წარმოადგენს, რომ ქმედება მთლიანობაში მართლზომიერია, ხოლო დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი სულაც არ არის წინასწარ გათვლილი; ის ჩართული არ არის მოტივაციის პროცესში.

ლეგიმეტრიული ინტერპრეტაციაც ემპირიულად დადგენილ ფაქტებს ადასტურებს. თუ განზრახვის შემთხვევაში სუბიექტი სამგზის (სამჯერ) ახდენს განზრახული ბოროტმოქმედის ემოციურ შეფასებას – დანაშაულის **ჩადენამდე**, **ჩადენისას** და დამთავრების **შემდეგ** – და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ეს შეფასება დადებითია (იწონებს), გაუფრთხილებლობის დროს ეს ხდება მხოლოდ ერთხელ და ისიც post factum, როდესაც სამართალდამრღვევს უარყოფითი ემოციური რეაქცია უჩნდება მომხდარის გამო (იწუნებს).

ამგვარად, მართალია პოსტკრიმინალური ემოციური განცდები ვერ თავსდება საკუთრივ დანაშაულის ონტოლოგიურ სტრუქტურაში (შესაბამისად, დანაშაულის ცნების ნორმატიულ ჩარჩოებში), მაგრამ ისინი წარმოადგენენ აკრძალული ქცევის სუბიექტური მხარის ორგანულ გაგრძელებას და უმნიშვნელოვანეს მომენტს მისი წარმოშობის, შინაარსისა და მიმართულების განსაზღვრისათვის. აი, რატომ უნდა ხდებოდეს სამართლებრივ პრაქტიკაში მათი დადგენა და გათვალისწინება იმგვარადვე, როგორც ეს ხდება იმ ემოციური პროცესებისა და მდგომარეობების მიმართ, რომლებიც უშუალოდ წინ უსწრებენ დანაშაულის ჩადენას. ამ დებულების გაზიარება გულისხმობს დამნაშავის პიროვნების ემოციური განცდების დინამიკის რეტროსპექტულ შესწავლასა და გაანალიზებას მათი ჩასახვისა და განვითარების საწინააღმდეგო (საპირისპირო) მიმართულებით. სწორედ აქედან წარმოდგება სახელწოდება, არსება, ფუნქცია და მნიშვნელობა რეტროსპექტული მეთოდისა, რომლის სათანადოდ განმარტებასა და მომარჯვებას შეუძლია ისევე გაამდიდროს იურიდიული მეცნიერება და პრაქტიკა, როგორადაც ეს მოახდინა სოციოლოგიური სკოლის მიერ შემოთავაზებულმა და დანერგილმა პროსპექტულმა მეთოდმა იმით, რომ კვლევა-ძიების ორბიტაში ჩართო დანაშაულის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები. და მიუხედავად იმისა, რომ კანონში პოსტკრიმინალური ემოციური განცდები არ მოიხსენიება, ოფიციალურად კი პრაქტიკაში მხედველობაში არ მიიღება, ორივეგან მოიპოვება საკმაო „სამხილი," რომ პასუხისმგებლობის საკითხების გადაწყვეტისას მაინც ხდება მათი იმპლიციტური გათვალისწინება. უპირატესად ეს შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას მისი გამოყენების პრაქტიკას, მეტადრე ავტოსატრანსპორტო სამართალდარღვევათა საქმეებში, სადაც საუბარია სამართალდარღვევის ქცევის მნიშვნელობაზე მისი ჩადენის შემდეგ. უმალვე უნდა შევნიშნოთ, რომ პოსტკრიმინალური ქცევის გათვალისწინება მხოლოდ მაშინ გულისხმობს პოსტკრიმინალური ემოციური განცდების გათვალისწინებასაც, თუ სწორედ ამათ შთააგონეს სუბიექტს შემდგომი ქცევა, არა თუ სხვა მოტივებმა, რომლებიც ჩამოყალიბდნენ თავისი ქცევის შეგნებული, გაცნობიერებული თვითშეფასების საფუძველზე.

4. ვინაიდან განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ურთიერთგამიჯვნა არ შეიძლება იყოს თვითმიზანი, არამედ მხოლოდ საშუალებაა თითოეული მათგანის გამო პასუხისმგებლობის საკითხის უცდომელი გადაწყვეტისა, პოსტკრიმინალური ემოციური განცდების მეცნიერულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის რაციონალიზაციისა და ოპტიმიზაციისათვის. ვცადოთ გამოვიკვლიოთ, რამდენად ეფექტიანია რეტროსპექტული მეთოდის გამოყენება, პოსტკრიმინალური ემოციური განცდების ჭრილში, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის შემთხვევაში დიფერენციაციისა და ინდივიდუალიზაციის სისხლისსამართლებრივ პრინციპებთან მიმართებით.

არაერთგვაროვან მიდგომას რომ მოითხოვს დანაშაულის სხვადასხვა ბუნებისა და ხასიათის ცალკეული ჯგუფების მიმართ, დიფერენციაციის პრინციპი გულისხმობს

სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სპეციფიკური ღონისძიებების გამოყენებას ცალ-ცალკე განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაულისადმი. გარკვეული ზომით ეს ასეც ხდება სისხლის და შრომა-გასწორებითი (პენიტენციური) სამართლის კანონმდებლობაში. დიფერენციაციის პროცესი ყველგან თანდათან ღრმავდება. მაგრამ, ამასთან ერთად, ზოგიერთი საკანონმდებლო ინოვაცია, რომლებიც აშკარად აცდენილია ამ ჯანსაღ ტენდენციას, იმის მაჩვენებელია, რომ ზოგჯერ საკითხები კონცეპტუალურ საფუძველზე კი არ წყდება, არამედ უამისოდ. ასეთი საყვედური, შეიძლებოდა, მაგალითად, გამოგვეთქვა პირობითი მსჯავრის იმ საკანონმდებლო კონსტრუქციების მისამართით (ასეთი იყო საქ. სსრ. სს-ის ძველი კოდექსი მუხ. 46), სადაც პირობითი მსჯავრის გაუქმება და სასჯელის რეალური ამოქმედება არ უკავშირდება განზრახვით ან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენას გამოსაცდელი ვადის განმავლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მსჯავრდებული რეალურ სასჯელს მოიხდიდა განაჩენთა ერთობლიობით. თუმცა, პოსტკრიმინალური ემოციური განცდები არასდროს ისეთი ინტენსიური არ არის, როგორც ასეთ შემთხვევაში (ერთმანეთს ემატება ორმაგი სინანული). თითქოს მართლმსაჯულებას შეეძლო, თავიდან აეცილებინა ზედმეტი სიმკაცრე, მაგრამ კანონმა ამის ნება არ/ვერ გამოავლინა. ამ კერძო შემთხვევიდანაც ადვილი დასანახია, რომ პოსტკრიმინალური ემოციური განცდების მხედველობაში მიღებით, შეიძლებოდა ახალი, დამატებთი ბიძგი ჰქონოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის პროცესის შემდგომ დიფერენციაციას განზრახი თუ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის მიხედვით. ნაწილობრივ, მაგრამ მაინც, ასეთ ნება საქართველოს მოქმედემა კანონმდებლობამ გამოავლინა (სსკ. მუხ. 67 ნაწ. 4,5).

* * *

სასჯელისა და სხვა სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა დიფერენციაციის პრინციპის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს მათი ინდივიდუალიზაცია, რომელიც გულისხმობს ყოველი კონკრეტული საქმის ინდივიდურ თავისებურებათა გათვალისწინებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის რეალიზაციის პროცესში.

გასაგებია, რომ განზრახია დანაშაული თუ გაუფრთხილებლობითი, წარმოადგენს არსებით და უაღრესად სპეციფიკურ თავისებურებას ამა თუ იმ ქმედებისა. ამასთან, თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი სპეფიციფიკური ემოციური განცდები შეიძლება მნიშვნელოვანი ორიენტირი იყოს ყველაზე უფრო შესაფერი, სამართლიანი და ქმედითი სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების შერჩევისას. ეს საშუალებას იძლევა, ალბათობის მაღალი ხარისხით (მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ) პროგნოზირება მოგვეხდინა ისეთი მნიშვნელოვანი შედეგების, როგორიცაა: მსჯავრდებულის გამოსწორება და მისი ხელახლა აღზრდის პერსპექტივები; სასჯელის რეალური გამოყენება ან სასჯელზე უარის თქმა; კანონით გათვალისწინებულ სასჯელის გამოყენება თუ მისი გადავადება და სხვ. ამ ბოლო შემთხვევაში პოსტკრიმინალური ემოციური განცდების ფასი და ღირებულება მკაფიოდ ვლინდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ განაჩენის აღსრულების გადავადების ინსტიტუტი როგორც კანონმდებლობაში, ისე მისი გამოყენების პრაქტიკაში მიზანშეწონილია განვითარდეს. ამასთან დაკავშირებით მივმართოთ ფსიქოლოგირ მოძღვრებას „ემოციური კვალის“,[16] „ბრალის გრძნობისა“[17] და ემოციურ განცდათა ე.წ. „გრადუალური მახასიათებლების“ შესახებ.[18]

5. ცნობილია, რომ ემოციურ განცდებს შეუძლიათ გარკვეული „კვალის“ დატოვება

16 იხ. რაიკოვსკი, მით. ნაშრ., გვ. 55
17 Izard C. E. Human Emotions. New York Plenum Press, 1977 p. 370-396
18 იხ. უზნაძე დ.ნ. მითითებული ნაშრომი, გვ. 142-148

ინდივიდის ფსიქიკაში; შეუძლიათ ამა თუ იმ სისრულითა და სიცხადით იქ დარეგისტრირება. ამისდა მიხედვით განასხვავებენ რეგისტრაციის ცნობიერ (გაცნობიერებულ) და არაცნობიერ (გაუცნობიერებელ) ფორმებს. შეუძლებელია, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდეს სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა თვისებრივი და რაოდენობრივი ნიშნით შერჩევისას. უთუოდ, უარყოფითი პოსტკრიმინალური ემოციური განცდების რეგისტრაციისა და რეგულაციის შემთხვევაში მეტი საფუძველია განაჩენის აღსრულების გადავადებისა. ზუსტად ამგვარადვე: „ბრალეულობის განვითარებული გრძნობის“ შემთხვევაში, თუ სხვა ხელშემწყობი გარემოებებიც არსებობს, ხელის შემშლელი კი – არა, ალბათ არ არის აუცილებლობა სასჯელის რეალური აღსრულებისა და ის შეიძლება გადავადდეს.

დაბოლოს, ემოციური განცდების ისეთი „გრადუალური მახასიათებლები“, როგორიცაა ინტენსიურობა, ექსტენსიურობა, სიღრმე, ხანგრძლივობა და სხვა. არ შეიძლება და არც უნდა იყვნენ სასხვათაშორისო მნიშვნელობის გარემოებანი მართლმსაჯულებისათვის. ვინაიდან ისინი გარდაუვლად ახდენენ ზეგავლენას მსჯავრდებულის სოციალურ რეაბილიტაციაზე. უფრო მეტიც, პოსტკრიმინალური ემოციური განცდების ამ მახასიათებლების უგულებელყოფამ შეიძლება არსებითი და მნიშვნელოვანი ვნება გამოიწვიოს: ეს იქნება სისხლისსამართლებრივი რეპრესიის გაუმართლებელი სიჭარბე და სიმკაცრე, საიდანაც წარმოდგება მსჯავრდებულის გაბოროტება, ცინიზმი, სოციალური აპათია და, რაც ყველაზე უარესია – მისი პიროვნულ-სოციალური დეზინტეგრაციის მატება.[19]

6. მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა პოსტკრიმინალურ ემოციურ განცდათა და მათი კვლევის რეტროსპექტული მეთოდის გადამეტფასება დანაშაულის სუბიექტური მხარის, ბრალისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენისას (მათი გამოყენება უნდა ხდებოდეს სხვა მეთოდებთან და გარემოებებთან სისტემურ მთლიანობაში). ასევე დაუშვებელია, განსახილველი თემის ირგვლივ თეორიული დასკვნები მოვწყვიტოთ ემოციური ფაქტორის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას. ამ გარემოებაზე უკვე მოახდინეს აპელირება მეცნიერებაში მათ შორის შესაძლო შეუთავსებლობის გამო. საკმარისია აღინიშნოს, რომ ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიც გახლდათ პროფ. ბორის ნიკიფოროვი, მიიჩნევდა, რომ საერთოდ უარი თქმულიყო, ემოციური განცდების გათვალისწინებაზე მათი დადგენის მეტისმეტი სირთულისა გამო. აი, რას წერს ის ცნობილ ფილოსოფოსთან გიორგი ზლობინთან თანაავტორობით: „ემოციები და შეფასებანი, უეჭველად ახასიათებენ არსებითი მხრივ დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას სუბიექტის საშიშროების გადმოსახედიდან. მაგრამ, მტკიცებისა და დადგენის პროცედურა იმდაგვარია, რომ მათი ჩართვა სუბიექტური მხარის იურიდიული მნიშვნელობის ელემენტების ნუსხაში აღმოჩნდებოდა ან ფუჭი და უნაყოფო, ან კიდევ საზიანო, რადგან ეს აუცილებლად გამოიწვევდა დიდი ოდენობით შეცდომებს.“[20]

ხომ არ მოასწავებს ასეთი მიდგომა დამნაშავის ემოციური მდგომარეობის მნიშვნელობის დაკნინებას, თუნდაც, როგორც დამატებითი საშუალებისა, სუბიექტური მხარის დასადგენად? მხოლოდ ნაწილობრივ! ეს უფრო იმის აღიარებაა, რომ ერთობ შეზღუდულია მტკიცების პროცესუალური საშუალებანი; ემოციური განცდები კი კვლავაც წარმოადგენენ სუბიექტური მხარის განუყოფელ ელემენტს და, შესაბამისად, მტკიცების საგანს, სისხლისსამართლებრივი პა-

19 დაწვრილებით იხ.: გურული პ. ადამინის პიროვნული და სოციალური ურღვევობა, როგორც სისხლისსამართლებრივი ხელყოფის ობიექტი. ქართული უნივერსიტეტის შრომები. ტომი II. თბილისი, 2015 გვ. 292-298

20 Злобин Г.А. Никифоров Б.С. Умысел и его формы, М., 1972. стр. 253

სუხისმგებლობის სუბიექტური საფუძვლის სტატუსით. საქმე ისაა, რომ დამნაშავის ემოციური განცდების (მათ შორის – პოსტკრიმინალურისა) დადგენას იურიდიულ პრაქტიკაში, სულერთია, მაინც ვერ ავცდებით. ამიტომ იმისგან დამოუკიდებლად, ვიდავებთ თუ არა იმაზე, რამდენად განეკუთვნება დანაშაულებრივი ქცევის ემოციური ელემენტი მტკიცების საგანს პროცესუალური გაგებით, შეგვიძლია თავი დავიმშვიდოთ თანამედროვე ექსპერიმენტური ფსიქოლოგიის შემდეგი ოპტიმისტური დასკვნით: „...თვით ისეთი თითქოს ინტიმური და მტკიცებისთვის მოუხელთებელი მოვლენაც კი, როგორიცაა ცალკეულ ემოციათა სუბიექტური შინაარსი და მათ შორის ურთიერთქმედება, შეიძლება დაექვემდებაროს ობიექტურ ანალიზსა და საკმაოდ მკაცრ გაზომვას.“[21]

ამგვარად, პოსტკრიმინალურ ემოციურ განცდებზე წინასწარი დაკვირვებაც კი საკმაოდ ნათლად ადასტურებს უეჭველ სარგებლობას სისხლის სამართალში ემოციური ფაქტორების გაღრმავებული შესწავლისა და გათვალისწინებისა. ამ საქმის საბოლოო წარმატება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გაბედულად მოვიმარჯვებთ საამისოდ თანამედროვე ფსიქოლოგიისა და კონკრეტულ-სოციოლოგიურ კვლევათა მიღწევებსა და მეთოდებს.

21 რაიკოვსკი ი.ა., მითითებული ნაშრომი, გვ. 169. Macha H. Die Bedeutung der Emotionalität für die Persönlichkeitsentwicklung. Bonn, 1980, S. 13

PHENOMENOLOGY OF POST-CRIMINAL EMOTIONAL FEELINGS

(On the Retrospective Method in Pinal Law)

SUMMARY

Post-criminal emotional feeling should be considered as an initial psychological reaction on perpetration of crime committed by perpetrator himself. They are immediately following the blameful psychological process and preceding conscious and final self-evolution of behavior; Although by virtue of their unconscious nature are influential to the further course and essence of post-criminal behavior.

Post-criminal emotional feelings in the above meaning should be strictly differentiated on the one hand from the psychological feelings before and after committing the crime; On the other hand – from post-criminal behavior as a whole. Last one can be manifested in voluntary surrendering, confession of guilt, repentance etc. Post-criminal emotional feelings do not belong in *senso stricto* to the structure of criminal behavior as such. Nonetheless they play significant role in solving many criminological, penological, penitentiary, procedural and judicial issues. Most fruitful it seems in penal law where it first was fecundated and in which it is applicable to quite wide context of theoretical and practical issues.

To the study of post-criminal emotional feelings is closely related corresponding retrospective method of scientific research as a something supplementary to the prospective method – from conditions and reasons to the perpetration of crime. In our case it moves reverse – from committing the crime to the conditions and reasons of its perpetration.

ПОБЕДОВО

„კაცთა მოდგმას ჯერ არ შეუქმნია იმაზე უფრო დემოკრატიული ინსტიტუცია, ვიდრე სასამართლოა“

ნებისმიერი ადამიანი ცხოვრებაში რამდენიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი პროფესიის არჩევაა, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს კიდეც ჩვენი ცხოვრების გზას. როდესაც საყვარელ საქმეს აკეთებ, სტიმულიც დიდია, კარიერული წინსვლის პერსპექტივაც და რაც მთავარია, ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების შანსიც. გამოჩენილი ქართველი სამართალმცოდნის, საქართველოსა თუ უცხოეთის მაღალი სამეცნიერო და სამოქალაქო რეგალიების მქონე პიროვნების, ბატონ მინდია უგრეხელიძის ცხოვრება და მოღვაწეობა ამის ნათელი მაგალითია.

ჟურნალისტი თამარ ოთიაშვილი

ბატონო მინდია, მეცნიერები თვლიან, რომ პროფესიის არჩევისას ადამიანზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი მოქმედებს: უნარები, ინტერესები, მოტივაცია, ღირებულებები, ოჯახი... თქვენს შემთხვევაში რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი? ოჯახმა, უფრო სწორედ გენეტიკამ ხომ არ იმძლავრა, მიუხედავად იმისა, რომ მამათქვენი, რომელიც პროფესიით იურისტი იყო, როგორც ვიცი, სულაც არ მიესალმებოდა თქვენს პროფესიულ არჩევანს?

პროფესიულ ორიენტაციას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. ასე მოხდა ჩემ შემთხვევაშიც. თუმცა, გადამწყვეტი როლი შეასრულა ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მასწა-

ვლებელთა სწორუპოვარმა კოჰორტამ, მათ შორის განსაკუთრებით – ქართულის მასწავლებელმა და კლასის დამრიგებელმა გოგოლა ჩხეიძემ და რუსული ენის პედაგოგმა თამარ გიორგობიანმა. ისინი საოცარ მაგალითს იძლეოდნენ პრინციპულობის, შეუვალობისა და სამართლიანობისა ტოტალური უსამართლობის გარემოცვაში.

დედა – ლიანა ეზიკაშვილი

არასოდეს დაეჭვებულხართ სწორედ მოიქეცით თუ არა, არ გიფიქრიათ, რომ, შესაძლოა არანაკლებ კარგი ექიმი, ინჟინერი, ან სულაც მუსიკათმცოდნე ყოფილიყავით, მით უმეტეს, როგორც ვიცი, მუსიკათმცოდნეობით ბავშვობიდან ხართ გატაცებული?..

სამართალმცოდნეობა უაღრესად ღრმა და ტევადი დარგია. ის ერთგვარად მოიცავს კიდევაც მრავალი სხვა დარგის ელემენტებს. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ სამართლის ერთ-ერთი დანიშნულება საზოგადოების მკურნალობაა, ისევე როგორც – ზრუნვა სოციალურ შეხმატკბილებულობასა და ჰარმონიაზე. ამიტომ სამართლებრივ „დისონანსსა“ თუ „კონსონანსს“ სამედიცინო და მუსიკალური ელფერიც ახლავს.

მამა – გურამ უგრეხელიძე

ბავშვობიდან რაიმე თვისება ან რაღაც შთაბეჭდილება თუ მოგყვებათ, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თქვენი შემდგომი ცხოვრებისთვის?

ეს გახლავთ ცნობის წადილი, რომელიც მამამ გამიმახვილა. იმანაც დიდი როლი შეასრულა, რომ ჩვენს ოჯახში და მის ირგვლივ ბევრი იყო ინტელიგენციის რჩეული წარმომადგენლები: ექიმები, პოეტები, მეცნიერები, პედაგოგები, მუსიკოსები, სპორტსმენები, რელიგიური, სამხედრო და სასულიერო მოღვაწენი. მათთან ურთიერთობა უთუოდ აფართოებდა თვალსაწიერს და აღვივებდა შემეცნებით ინტერესს.

ქუთაისი 1953 წ. 5 ივნისი. მინდია უგრეხელიძე მეექვსე კლასში (პირველ რიგში მარცხნიდან მესამე)

რა მიგაჩნიათ იურისტის უმნიშვნელოვანეს თვისებად, რა მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს იგი, უპირველეს ყოვლისა?

სიბრძნე, რომელიც ღვთიური მადლია და ვერ მოიპოვება ოდენ წიგნიერებითა და განათლებით. სოლომონ ბრძენს, ჰაჯიუსუფს, სანჩო პანსას და მოლა ნასრედინს არ ჰქონიათ იურიდული განათლება, თუმცა მათი მართლმსაჯულება, მათ მიერ გაჩენილი სამართალი შედევრებად არის მიჩნეული.

დამეთანხმებით, ადამიანის ცხოვრება გარკვეული ეტაპებისგან შედგება. თქვენს ცხოვრების ერთ-ერთი ეტაპი, როგორც ვიცი, ჟურნალისტიკას უკავშირდება. იმ პერიოდში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორობა ჩაიბარეთ და პირველი, რაც გააკეთეთ ის იყო, რომ გაზეთს სახელი შეუცვალეთ – „ახალი საქართველო“ დაარქვით, მანამდე კი ლოზუნგი „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ მოშალეთ... როგორ ფიქრობთ, პროფესიული თვალსაზრისით რაიმე

მინდია უგრეხელიძე – 15 წლის

საერთო თუ არის ჟურნალისტიკასა და იურისპრუდენციას შორის? ამ „შეხების წერტილს“, თუ შეიძლება ასე ითქვას, თქვენი რედაქტორობის არცთუ დიდი ხნის განმავლობაში თუ გადააწყდით?

ჟურნალისტიკაცა და სამართალიც (იურისპრუდენცია, მართლმსაჯულება და ა.შ.) სიმართლის, ჭეშმარიტების სამსახურში იმყოფება, რაც იმანენტურად უპარტიოა იმთავითვე. შემთხვევითი როდია, რომ არც სასამართლო ხელისუფლებაა პოლიტიკური თავისი ბუნებითა თუ მოწოდებით, და არც ე.წ. „მეოთხე ხელისუფლება“.

1988 წ. – გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი

„სასამართლო სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო გაერთიანებაში გაბატონებული წესრიგი, და სწორედ ეს სასამართლო წყვეტს იმასაც, თუ რა არის სამართლიანი“ – არ მახსოვს, ვისია ეს ფრაზა, მაგრამ საინტერესოა, თქვენ რას ფიქრობთ, პიროვნება, რომელიც წლების განმავლობაში უზენაესი სასამართლოს მოსამართლე იყავით საქართველოში, ევროსასამართლოს მოსამართლედ კი ორჯერ აგირჩიეს, პირველად სამი, მეორედ კი – ექვსი წლის ვადით?

სასამართლოს მთავარი სიკეთე და ღირსება ორი რამით არის განპირობებული: ერთია მისი მაღალი დანიშნულება, დიადი მიზანი და საკაცობრიო მოწოდება, რომ ჰპოვოს და აღირსოს ადამიანს სამართლიანობა; მეორეა ის, რომ კაცთა მოდგმას ჯერ არ შეუქმნია იმაზე უფრო დემოკრატიული ინსტიტუცია, იდრე სასამართლოა; აქ ყველაზე მეტი პროცედურული წესი, სტანდარტი და „მეხამრიდია“ გათვალისწინებული საიმისოდ, რომ ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა საიმედოდ იყოს დაცული და უზრუნველყოფილი.

მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის თანაკურსელებთან და პედაგოგ გიორგი კემულურიასთან ერთად IV კურსზე. 1959წ. ქუთაისი

თქვენს პრაქტიკაში თუ ყოფილა შემთხვევა, რომელზეც დღემდე ფიქრობთ და პასუხი ვერ გიპოვიათ?

დიახ, არა ერთი... მათ შორისაა ე.წ. „სახელმწიფო აქტის დოქტრინა (Act-of-State Doctrine)“, სხვანაირად, „პოლიტიკური საკითხის დოქტრინა“, რომლის საფუძველზე რამდენიმე ერთობ საეჭვო გადაწყვეტილება აქვს მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სტრასბურგში. ერთ-ერთი მათგანზე იძულებული გავხდი „განსხვავებული აზრი“ გამომექვეყნებინა. ეს იყო მარკოვიჩისა და სხვათა საქმე იტალიის წინააღმდეგ, რომელიც იმიტომ ჩავარდა, რომ საქმის განმხილველმა პალატამ პოლიტიკური ელემენტის გამო წარმოებაში მიუღებლად მიიჩნია. საკითხის პრობელმატურობას ისიც საცნაურ ჰყოფს,

რომ ხმათა ოდენობა ამ საქმეზე ლამის ორ თანაბარ ნაწილად გაიყო.

ქართველი ხალხის ყველაზე დიდი პრობლემა რა არის ამჟამად მოსამართლის პოზიციიდან?

საქართველოში დღემდე ვერ შემუშავდა და დამკვიდრდა მოსამართლეთა პროფესიული წვრთნის, განათლების, მომზადების, გადამზადების და კარიერული დაწინაურების მწყობრი, გამართული სისტემა. მანკიერად მიმაჩნია მოსამართლეთა უვადოდ გამწესების უკრიტიკოდ გადმონერგილი, ქართული სინამდვილისთვის სრულიად უცხო და მასთან შეუსაბამო მოდელი. არადა, შეიძლებოდა ამ საკითხში კეთილგონიერება. სავალალოდ, არ აღმოჩნდა შესატყვისი პოლიტიკური ნება. უცხოეთის წამხედურობამ და კარიერისტულმა კეკლუცობამ იმძლავრა...

შორიდან მაყურებელი თვალისთვის საამაყო ბევრი გაქვთ, ბატონო მინდია, მაგრამ თავად თქვენი განცდა როგორია – რით ამაყობთ და რატომ?

იმით, რომ არასდროს ვუცდუნებივარ ვინმეს ან რაიმეს პროფესიული და მოქალაქეობრივი არჩევანის საზიანოდ. რაც მთავარია, სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის სანუკვარ აქტზე ჩემი ხელრთვაცაა. ვგონებ, ძნელი მისახვედრი არაა, რას ნიშნავს ეს ქართველი კაცისთვის.

თუ საიდუმლო არ არის, დაგიშვიათ ცხოვრებაში ისეთი შეცდომა, წინ რომ დაგხვედრიათ?

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეცნიერული კვლევა-ძიების „ლომის წილი“ შეცდომის უფლებას ეძღვნება, მაინც უამრავი შეცდომა მაქვს დაშვებული ცხოვრებაში. რას იზამ, „შეცდომა ადამიანის თანაარსია“ (errare humanum est). ამითღა ვიმართლებ და ვინუგეშებ თავს...

პრაქტიკაში არ გქონიათ ისეთი შემთხვევა, როდესაც გიფიქრიათ, რომ სიკვდილით დასჯა არ უნდა გაუქმებულიყო?

არასდროს!

ნებისმიერი პროფესიის ადამიანის ღირსებად რას თვლით?

საკუთრივ ღირსეულობას.

ჩერჩილს ახლაც ხომ არ გეძახიან, ბატონო მინდია?.. ვინ დაგარქვათ?

ორიოდე წლის გახლდით, როდესაც ოჯახის მეგობარმა ვალიკო ვარდოსანიძემ შემარქვა ხუმრობით – ნამეტანი გულმოსული ვიბღვირებოდი, თანაც საკმაოდ ბუთხუზა ვიყავი. მეტსახელი დიდ ხანს არ შემრჩენია; ვერც შემრჩებოდა, იმდენად დიდი მასშტაბის პიროვნება იყო ჩერჩილი. მისი სახელი ხომ მყისვე ჩაიწერა ასომთავრულით მსოფლიო ისტორიაში.

1995 წ. – უზენაესის თავმჯდომარე

ბატონო მინდია, ამბობენ, ყველას მისთვის განკუთვნილი დრო აქვსო. ფიქრობთ, რომ ეს დრო თქვენია? უფრო სწორედ, იცხოვრეთ და ცხოვრობთ თქვენს დროში, თუ ფიქრობთ, რომ სხვა ეპოქაში უფრო მეტის გაკეთებას შეძლებდით?

გააჩნია, როგორი იქნებოდა სხვა დრო და ეპოქა – უარესი თუ უკეთესი.

რას ვერ აპატიებთ ადამიანს?

არაადამიანურობას!

წლებს გამოცდილება მოაქვს, გამოცდილებას გარკვეული სიბრძნე, რა გასწავლათ ცხოვრებამ, რაზე დაგაფიქრათ?

ვინაიდან „წუთისოფლის სტუმრები“ ვართ, უფრო მომჭირნედ უნდა ვიყენებდეთ „საწუთროს“ სიკეთეებს. მეტისმეტად დაუზოგავად ფლანგავს მისთვის განკუთვნილ წამებს ნიჭიერი ქართველი კაცი.

როგორც ვიცი, სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრეთ. ლიტერატურა გიყვარდათ ძალიან და ოლიმპიადებში იმარჯვებდით... თქვენი ცხოვრებიდან გამომდინარე, გასახსენებელი ბევრი გექნებათ... მემუარებს ხომ არ წერთ, ბატონი მინდია?

ჯერ არა...

დაბოლოს: საკუთარ თავს რა შეკითხვას დაუსვამდით და რას უპასუხებდით?

ამ კითხვას ხუმრობით ლექსად ვუპასუხე ოდესღაც, ნაღვლიანი განწყობილების ჟამს:

ავტოპორტრეტი
„ვინ არის იგი, ვის დაჰკარგვია,
ვინმე ავყია, ახირებული?
ქვეყნისთვის ის ხომ
ოდენ ბარგია
და არაფერი აქვს ღირებული“
ნეტავ ვცდებოდე...

ვინც გიცნობთ, აუცილებლად გეტყვით, რომ ცდებით! დღეგრძელობას გისურვებთ, ბატონო მინდია!

თარგმანები



ამერიკის შეერთებული შტატების

დამოუკიდებლობის დეკლარაცია

Declaration of Independence

UNITED STATES OF AMERICA

ინგლისურიდან თარგმნა

მინდია უგრეხელიძემ

Translated into Georgian by

MINDIA UGREKHELIDZE

თბილისი-TBILISI

1996

თეთჩერის ქებათა ქება რეიგანს

მარგარეტ თეთჩერი ჩვენი დროის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ. ის იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოკაშკაშე მნათობი სხვა პოლიტიკურ ლიდერთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედში. მსოფლიო მართლაც რომ დიდი სინანულით გამოეთხოვა მას, გულწრფელია ქართველთა თანაგრძნობაც.

პუბლიკაციის სახით გთავაზობთ მარგაეტ თეთჩერის გამოსათხოვარ სირტყვას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რონალდ რეიგანთან. როგორც ორატორული ხელოვნების შედევრი, სამგლოვიარო მიმართვა უკვე შესულია მჭევრმეტყველების ყველა დროის საუკეთესო ნიმუშთა მსოფლიო ანთოლოგიაში.

მარგარეტ თეთჩერი
„რეიგანმა წინასწარმეტყველურად იცხოვრა“

დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ თეთჩერის ქებათა-ქება (Eulogy) რონალდ რეიგანს, მის დაკრძალვაზე რომ გახმიანდა 2004 წლის 11 ივნისს, ვაშინგტონის ეროვნულ კათედრალში.

(წინასწარი ჩანაწერი)

ჩვენ დავკარგეთ დიდი პრეზიდენტი, დიდი ამერიკელი და დიდი კაცი, მე კიდევ – ძვირფასი მეგობარი.

სიცოცხლეში რონალდ რეიგანი იმდენად მხნე და ხალისიანი იყო, რომ ადვილად შეიძლებოდა დაგვიწყნოდა, თუ რა ვეებერთელა ისტორიულ ამოცანებს შეეჭიდა იგი. მას სწადდა მოეშუშებინა ამერიკის დაკოდილი სული; აეღორძინებინა თავისუფალი სამყაროს ძალი და ძლიერება; ტყვეობიდან გამოეხსნა კომუნიზმს მონები.

ეს გახლდათ უაღრესად რთული და სახიფათ საქმე. მაგრამ რეიგანი მაინც გატაცებით ეკვეთა მას, ვინაიდან იგი იმასაც ისახავდა მიზნად, რასაც არნოლდ ბენეთმა უწოდა „ჩვენი გამხნევება – წახალისების დიდი საქმე“.

მისი პოლიტიკა იყო ცინცხალი და იმედიანი, რამაც ამრავლა ყველა კლასისა და ქვეყნის ახალმორწმუნენი, საბოლოოდ – თვით ბოროტების იმპერიის გულისგულშიც კი...

მისთვის ხუმრობაც კი არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. რეიგანის მკვლელობის მცდელობის უშუალოდ მომდევნო წუთებში, მისმა მსუბუქმა იუმორმა იმედი ჩაუსახა შეშფოთებულ მსოფლიოს. მისი მეოხებით ხალხმა ირწმუნა, რომ ტერორის შემდგომი ისტერიის ვითარებაშიც კი, ერთი დიდი გული ფეთქავდა და ხარობდა. ეს იყო ნამდვილი გულმოწყალება შეძრწუნებულთა მიმართ.

უთუოდ მათ შენიშნეს უფრო დიდი მადლიც. რონის თვითონვე ნამდვილად სჯეროდა, რომ მისი გადარჩენა არ ყოფილა უცაბედი, უმიზნო და შემთხვევითი. როგორც კი მოიხედა, მან მოძღვარს განუცხადა: „რამდენი ხნის სიცოცხლეც არ უნდა დამრჩეს, იგი მთლიანად მაღალ ღმერთს ეკუთვნის ზეცაში“.

და მართლაც, ძალიან ძნელია იმის უარყოფა, რომ რონალდ რეიგანმა წინასწარმეტყველურად იცხოვრა. ამისთვის საკმარისია გავხედოთ, რაც მან განჭვრიტა და რასაც მიაღწია მომდევნო რვა წლის განმავლობაში.

სხვები დასავლეთის დამცრობასა და დაკნინებას გვიქადიდნენ; მან ამერიკასა და მის მოკავშირეებს ახალი ძალით შემართება შთააგონა თავისუფლების მისიის სამსახურში.

სხვები ოდენ ზღუდეებს ხედავდნენ შემდგომი ზრდა-განვითარებისა; მან უძრაობაში მყოფი ეკონომიკა შესაძლებლობათა ინდუსტრიად აქცია.

სხვები იმედოვნებდნენ, რომ უკეთეს შემთხვევაში მოხერხდებოდა არც თუ ადვილი თანაარსებობა საბჭოთა კავშირთან; რეიგანმა მოიგო ცივი ომი, არათუ ყოველგვარი სისხლისა და ცეცხლის გარეშე; მან მტრები გამოიყვანა საფარიდან და ისინი მეგობრებად აქცია.

მიჭირს წარმოვიდგინო, როგორ იტყოდა უკეთესად სხვა რომელიმე დიპლომატი ან დრამატურგი იმას, რაც რეიგანმა მიხეილ გორბაჩოვს განუცხადა ჟენევის სამიტზე: „ნება მიბოძეთ გითხრათ, რატომ არ გენდობით თქვენ“ (ან: „...საიდან წარმოდგება ჩვენი უნდობლობა თქვენდამი“). ეს არის გულწრფელი და მწარე სიტყვები, რომლებიც ვერ იქნებოდა ადვილი მოსასმენი, მაგრამ იმავდროულად, ეს იყო მოწვევა ახალ წამოწყებასა და ურთიერთობაზე, რომელიც ნდობით იქნებოდა გამსჭვალული.

* * *

ჩვენ დღეს ვცხოვრობთ მსოფლიოში, რომლის გარდაქმნა რონალდ რეიგანმა სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო. და ეს სამყარო უაღრესად განსხვავებულია თავისი გამოწვევებით, პრობლემებითა თუ ახალი საშიშროებებით. მაგრამ, საბოლოო ჯამში, გვაქვს მეტი თავისუფლება და კეთილდღეობა. უფრო იმედიანი გარემო, ვიდრე რეიგანმა ჩაიბარა მემკვიდრეობით.

როგორც პრემიერ-მინისტრმა, მე მჭიდროდ ვითანამშრომლე რონალდ რეიგანთან ჩვენი სიცოცხლის რვა უმნიშვნელოვანესი წლის განმავლობაში. ჩვენ რეგულარულად ვესაუბრებოდით ერთმანეთს მის პრეზიდენტობამდე და შემდეგაც. ამიტომ მე დროც მქონდა და საფუძველიც, რათა გამეაზრებინა, რით გახდა ის დიდი პრეზიდენტი.

რონალდ რეიგანმა კარგად იცოდა, რაც უნდოდა. მას ჰქონდა ურყევი და, ჩემი აზრით, სწორი პრინციპები, რომლებსაც თანმიმდევრულად, უყოყმანოდ და გაბედულად ახორციელებდა.

როდესაც მსოფლიომ პრობლემები დაატეხა თეთრ სახლს, რეიგანი როდი დაიბნა ან დაითრგუნა. მან გუმანით იგრძნო, თუ რა უნდა ეკეთებინა.

როდესაც მისი თანაშემწეები პროექტებს ამზადებდნენ რეიგანის გადაწყვეტილებებისა, მათ შეეძლოთ დასტა-დასტად ამოეღოთ წინადადებანი, რომლებსაც იცოდნენ, რომ „ბერიკაცი“ არასოდეს მოიმარჯვებდა.

როდესაც მისი მოკავშირეები საბჭოური ან ადგილობრივი წნეხის ქვეშ მოექცნენ, მათ შეეძლოთ ნდობით ეცქირათ ვაშინგტონისკენ, რეიგანის მედგარი თავკაცობით.

და როდესაც მისმა მტრებმა კბილი მოუსინჯეს ამერიკის გადაწყვეტილებას, უმალვე მიხვდნენ, რომ ეს იყო მტკიცე და ურყევი.

დიახ, მისი იდეები იყო ნათელი და გამჭვირვალე. მაგრამ არასდროს ყოფილა უბრალო და მარტივი. იგი ჭეშმარიტების მრავალ წახნაგს ხედავდა.

დიახ, ის გვაფრთხილებდა, რომ საბჭოთა კავშირი ეწეოდა გამალებულ სამხედრო შეიარაღებასა და ტერიტორიულ ექსპანსიას; მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ქვეყანა უკვე გამოფიტული იყო სისტემური ნაკლოვანებებით, რასაც ვეღარაფერი უშველიდა, რადგან არ ექვემდებარებოდა რეფორმებსა და გარდაქმნას.

დიახ, ის არ დაერიდა, საჯაროდ ემხილებინა მოსკოვი, როგორც „ბოროტების იმპერია“, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ მიუხედავად ამისა, კეთილი ნების ადამიანებს შეეძლოთ გამოენათებინათ მისი ბნელით მოდილი დერეფნებიდან.

ასე უძალიანდებოდა პრეზიდეტი საბჭოურ ექსპანსიას და ყველა სუსტ წერტილში თელავდა მას, ვიდრე ამ ზეწოლისა და, ამასთან ერთად, შინაგანი ნაკლოვანებების

ძალით არ მოახლოვდა დღე კომუნიზმის დაცემისა. და როდესაც კეთილი ნების ადამიანი წამოიმართა ნანგრევებიდან, პრეზიდენტი რეიგანი ხელის ჩამორთმევით მას უმალ მიეგება სათანამშრომლოდ.

უთუოდ ამაში უნდა ვიპოვოთ მისი მიღწევების შემაჯერებელი, საბოლოო ახსნა.

მის დიად მისწრაფებებში რონალდ რეიგანმა აიყოლია ამერიკელი ხალხი, რადგან არსებობდა სრული ურთიერთგაგება და თანაგრძნობა მათ შორის. ისინი ერთად შესტრფოდნენ ამერიკასა და იმას, რასაც ამერიკა ქომაგობს: ესაა – თავისუფლება და შესაძლებლობა უბრალო ადამიანების წარმატებისა.

როგორც ჰოლივუდის „ოქროს ხანის“ მსახიობმა, რონალდ რეიგანმა მილიონობით ადამიანს მთელი დედამიწის ზურგზე ოცნება ცხადად უქცია, თავად მისი ცხოვრებაც ხომ ამ ოცნების აღსრულება იყო...

მას, როგორც სახალხოდ, ისე განკერძოებით, თანაბარი შთაგონებით შეეძლო ეთქვა: „ღმერთო! დალოცე ამერიკა!“ და მას შეეძლო სრული ნდობით აღსავსეს მოეწოდებინა თავისი თანამემამულეებისთვის, მსხვერპლი გაეღოთ ამერიკისთვის ისევე, როგორც მათთვის, ვინც იმედითა და რწმენით მხსნელად შესცქეროდა ამერიკას.

ამერიკული პატრიოტიზმის ბერკეტზე დაყრდნობით მან ფეხზე წამოაყენა ქვეყნიერება. ამიტომაა, რომ დღეს მთელი მსოფლიო – პრაღა იქნება თუ ბუდაპეშტი, ვარშავა, სოფია, ბუქარესტი, კიევი თუ საკუთრივ მოსკოვი – გლოვობს დიდი გამათავისუფლებლის გარდაცვალებას და იმეორებს მის ძახილს: „ღმერთო! დალოცე ამერიკა!“

* * *

რონალდ რეიგანის ცხოვრება აღსავსეა არა მარტო საზოგადოებრივი მიღწევებით, არამედ პირადი ბედნიერებით. მისი საზოგადოებრივი წარმატება პირადი ბედნიერებითაც იყო ნასაზრდოები. შემობრუნების პუნქტი მის ცხოვრებაში გახლდათ ნენსინთან მისი შეხვედრა და დაქორწინება.

ამ მხრივ ჩვენ გვაქვს ნათელი მაგალითი მოსიყვარულე და მადლიერი მეუღლისა: „მოვიდა ნენსი და გადამირჩინა სული“.

დღეს ჩვენ ვიზიარებთ ნენსის ნაღველს, მაგრამ იმავდროულად სიამაყესაც. ისევე, როგორც რონალდის შვილების ნაღველსა და სიამაყეს.

* * *

მისი სიცოცხლის ბოლო წლებში რონის გონება სნეულებით იყო დაბინდული. ეს ბინდი ახლა გაფანტულია. იგი დაუბრუნდა თავის თავს და იმაზე მეტადაა რონი, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ვინაიდან, მამაზეციერი არასოდეს ივიწყებს მათ, ვინც მასთანაა. და რაკი ამ თავმიძღვნილი პილიგრიმის ბოლო მოგზაურობით ჩაესვენა მისი მზე, რომელიც აღარასდროს გაუნათდება, მინდა ვირწმუნო, რომ ამიერიდან „ყველა ბუკი და ნაღარა იმქვეყნიური სასუფევლიდან გაისმის“ (John Bunyan/ჯონ ბანიანი).

ჩვენ კი, აქ, მწუხრის ბინდ-ბუნდში დავეხეტებით. მაგრამ გვაქვს მანათობელი სანთელი. რომელიც მას არასდროს ჰქონია, ჩვენ კი გზას გვიკვლევს. ეს არის რონალდ რეიგანის მაგალითი.

პატივი და მადლი მივაგოთ დღეს სიცოცხლეს, რომელმაც ამდენი იღვაწა ღვთის შვილთა საკეთილდღეოდ!

ინგლისურიდან თარგმნა
მინდია უგრეხელიძემ

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ღამეული მგზავრის სიმღერა

მწუხრში ჩანთქმულა ზვიადი მთები,
არსით გალობა,
არცა დუდუნი,
არსიდან ჩქამი,
რა დუმილია, სიმშვიდის მფენი,
იყუჩე, შენც ხომ დაგეუფლება დაცხრომის ჟამი.

ედგარ ალან პო

ელდორადო

მხნედ შეუყვა აღმართ-დაღმართს,
არ შეუდრკა ხვატს და ავდარს,
და კაი ყმამ ფიცი დადო,
რომ მოიძევს ელდორადოს.
დრო ულმობლად გადიოდა,
მზე კი ადი-ჩადიოდა,
და თუმც მტკიცე ფიცი დადო,
ვერსად ჰპოვა ელდორადო.
ბევრი განვლო მან ხიფათი,
დაეშრიტა არაქათი,
და აღმოხდა – „ბედის ლანდო,
გთხოვ გამანდო ელდორადო“.
– „გადიარე მთები მთვარის,
აჩრდილთ ველიც იქვე არის,
მედგრად უნდა შეეცადო,
რომ იხილო ელდორადო“ -
იყო პასუხი.

უცხოური პუბლიკაციები

European Review of Public Law
(Esperia Publications Ltd) Vol, 13-#1

Protection of Human Rights: Legal Traditions and Constitutional Experience of Georgia

ქართული სამართლებრივი ტრადიციების შესახებ

Mindia Ugrekhelidze

ABSTRACTS/RESUMES

A long time ago, the Republic of Georgia opted for a system of democracy based on the western model. However, historical events having politically detached this country from the West. It found itself subjected to a long legal order, in which the right of the powerful was prevailing over the respect for human rights and human dignity.

This is the reason why, in the field of human rights, the Republic of Georgia is currently facing the need to re-adopt the values that it had been forced to abandon at the time, and to reconsider them in the light of universally recognized principles and the experience gained by other countries. In order to illustrate this observation, it is necessary to give a short overview of the historical and legislative sources, some of which we will here list:

1. The legislative work of King Vakhtang VI, which integrates the Decalogue, the Byzantine, Armenian and ancient Georgian codes, as well as the legislative texts of the King himself;
2. The Georgian Constitution of the 21st of February 1921;
3. The decree no.6 of the 25th of July 1991 issued by the Plenary session of the Georgian Supreme Court, pertinent to the principles regulating the action of ordinary courts during the period of the re-establishment of Independence;
4. The Georgian law of the 6thof November 1992, relating to the powers of the State;
5. The Georgian Constitution of the 24th of August 1995, currently in force.

The report analyses three fundamental rights – the right to life, the right to freedom and the right to property. It also presents three principal institutions – the court, the Public Prosecutor's Office, and the Ombudsman, whose actions follow the principles established by the law. This legislative work has marked a new stage in the process of the construction of constitutionality in the Republic of Georgia.

* * *

Il y a fort longtemps que la Géorgie opta pour la démocratie à l'occidentale, mais les péripéties de son histoire l'ayant détachée politiquement de l'Occident, elle se vit soumise à un ordre juridique où le droit du plus fort prévalait sur le respect des droits et de la dignité humaine. C'est pour cette raison que, dans le domaine des droits de l'homme, la Géorgie se trouve actuellement face à la nécessité de renouer avec les valeurs qu'elle dut perdre à l'époque et de les repenser au regard des principes universellement reconnus, ainsi que de l'expérience des autres pays. En vue d'illustrer ce constat, il importe de donner un bref aperçu des sources historiques et législatives, dont on énumèrera ici quelques-unes;

1. L'œuvre législative du roi Vakhtang VI, qui intègre la Loi de Moïse, les codes byzantins, arméniens et géorgiens anciens, ainsi que les textes législatifs du roi lui-même;
2. La Constitution de Géorgie du 21 février 1921;
3. L'ordonnance n º 6 de la session plénière de la Cour Suprême de Géorgie en date du 25 juillet 1991, relative aux principes de l'activité des juridictions judiciaires au cours de la période de rétablissement de l'Independence;
4. La loi de la Géorgie du 6 novembre 1992, relative au pouvoir d'Etat;
5. La Constitution de Géorgie du 24 août 1995, en vigueur actuellement.

Le rapport analyse trois droits fondamentaux – droit a la vie, droit à la liberté et droit à la protection de la propriété. Il présente également trois institutions principales – la cour, le parquet et l'Ombudsman dons le fonctionnement obéit aux principes posés par la loi. Ce travail législatif marquera une étape de nature nouvelle dans la Constitution de la constitutionalité en Géorgie.

* * *

Vor langer Zeit entschied sich die Republik Georgien für ein demokratisches System westlichen Zuschnitts. Indes haben die politischen Entwicklungen das Land wom Westen abgekoppelt, und es fand sich einer Rechtsordnung unterworfen, in der das Recht des stärkeren der Archtung von Menschenrechten und Menschenwürde vorging. Aus diesem Grunde muß Georgien sich nun wieder erwerben, was zu Zeiten es aufzugeben gezwungen war, und zugleich neu bewerten im Lichte der universellen Prinzipien und der Erfahrungen anderer Länder. Um diese Beobachtung zu illustrieren ist es erforderlich, einen kurzen Überblick über die geschichtlichen und legislative Quellen zu geben, deren einige nachfolgend aufgezählt warden sollern:

1. Die gesetzgeberische Arbeit von König Vakhtang VI., die neben den Gesetzestexten des Königs auch die Zehn Gebote und byzantinische, armenische sowie alte georgische Rechte berücksichtigte;
2. Die Verfassung Georgiens vom 21. Februar 1921;
3. Verordnung Nr. 6 vom 25. Juli 1991 der plenarsitzung des Obersten Gerichtshofs Georgiens während der Phase der Wiedererlangung der Unabhäangigkeit;
4. Das georgische Gesetz vom 6. November 1992 über dier Gewalten im Staat;
5. Die Verfassung Georgiens vom 24. August 1995, die auch gegenwärtig in Kraft ist.

Der Beitrag analysiert drei Grundrechtc das Recht auf Leben, das Recht auf Freheit und das Eigentumsrecht. Er führt auch drei maßgeblichen Institutionen ein – das Gericht, die Staatsanwaltschaft und den Ombudsman, die an das gesetz gebunden sind. Die gesctzgeberische Arbeit hat eine neue Stufe erreicht im Prozeß der Erlangung von Verfassungsmäßigkeit in der Republik Georgien.

* * *

Molto tempo fa, la Repubblica di Georgia optò per un sistema di democrazia basato sul modello occidentale. Comunque, poiché gli eventi storici hanno allontanato politicamente questo paese dall'Occidente, esso si è trovato assoggettato ad un sistema legale nel quale il diritto dei potenti stave prevalendo sul rispeto dei diritti umani e della dignità umana. Questa è la ragione per cui, nel campo dei diritti umani, la Repubblica di Georgia sta attualmente fronteggiando il bisogno di riadottare I valori che era stata costretta ad abbandonare all'epoca, e riconsiderarli alla luce dei principi dell'esperienza, universalmente riconosciuti, acquistati da altri stati. Allo scopo di illustrare questa osservazione è necessario dare unda rapida occhiata alle fonti storiche e normative, alcune delle quali vogliamo qui elencare:

1. Il lavoro legislative di Re Vekhtang VI che integra il decalogo, I codici bizantini, armeni e dell'antica Georgia, come pure I testi legislative del Re stesso.
2. La Constituzione Georgiana del 21.02.1921;
3. Il decreto n. 6 del 25.07.1991 adottato dalla sessione plenaria della Corte Suprema di Georgia, relative ai principi che disciplinano l'azione delle Corti ordinarie durante il period della re-istituzione dell'Indipendenza;
4. La legge della Georgia del 6.11.1992. relative ai poteri dello stato;
5. La Constituzione Georgiana del 24.08.1995, attualmente in vigore.

Il lavoro analizza tre diritti fondamentali: il diritto alla vita, il diritto alla libertà, il diritto alla proprietà. Presenta anche tre principali istituzioni: la Corte, l'Ufficio del Pubblico Procuratore, e l'Ombudsman, le cui azioni seguono I principi stability dalla legge. Questo lavoro legislative ha segnato un nuovo stadio nel processo di costruzione della costituzionalità nella Republica di Georgia.

„ლიდერშიპის“ კრიზისი: ზოგიერთი ვექტორისა და განზომილების შესახებ

„ლიდერშიპის“ პრობლემა სხვადასხვა მოდიფიკაციით უხსოვარი დროიდან წარმოადგენს დაუღალავი ძიების საგანს. ეს გახლავთ ამოუწურავი თემა უამრავი ასპექტით. საკუთრივ ტერმინი სულ ცოტა ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. *სტატიკური* მნიშვნელობით, რაც გულისმობს ლიდერის მდგომარეობას, ფუნქციასა და სტატუსს; 2. *დინამიკური* გაგებით, რომელიც მოაიაზრება, როგორც საქმეთა გაძღოლა ლიდერის როლში (ინდივიდუალურია ის თუ კოლექტიური). ეს ორი მნიშვნელობაც კი ტერმინისა „ლიდერშიპი“ შეიძლება საკმარისი ყოფილიყო დაუსრულებელი კამათისა და დებატებისთვის. მაგრამ გაიაზრო და გადაიაზრო ისინი კრიზისულ სიტუაციებთან მიმართებაში, კიდევ უფრო რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა. ამიტომ თუ გვინდა, რომ გულუბრყვილობა არ დაგვწამონ, ვიკმაროთ მცირე, მაგრამ აუცილებელი. სახელდობრ, ჯერ ვცადოთ გავიხსენოთ, რა ნიშნებით ხასიათდება „ლიდერშიპი“ ჩვეულებრივ სიტუაციებში (ორთავე მნიშვნელობით), შემდგომ კი ვიკვლიოთ, რა სპეციფიკა ახლავს კრიზისს უჩვეულო სიტუაციებში (პოლიტიკური იქნება ის თუ ეკონომიკური, გლობალური თუ სხვა).

„ლიდერშიპი“ ჩვეულებრივ ვითარებაში

თუ სიტუაცია ექსტრემალური არ არის, თუ საკუთრივ ვითარებაში, რომელშიც ხორციელდება საქმიანობა და ფუნქციონირება, არ არსებობს სპეციფიკური პრობლემა, რომელიც ექსტრაორდინარულ შესაძლებლობებსა და ძალისხმევას მოითხოვს, მაშინ ასეთ „ჩვეულ“ სიტუაციაში „ლიდერშიპის“ ამოცანა შედარებით იოლია. უპირატესად იგი იმაზე დაიყვანება, რომ შთაგონოს, დარაზმოს, აიყოლიოს და გაიყოლიოს ადამიანთა ჯგუფი, რომლის

ნაწილსაც თავად წარმოადგენს. „ლიდერშიპის“ ვარგისიანობის ვერიფიკაცია შედარებით მარტივია, თუ მოვიმარჯვებთ კვლევის **სოციომეტრიულ** და **ლეგიმეტრიულ** მეთოდებს. სოციომეტრიულისა, რათა გაიზომოს პიროვნებათაშორისი (ინტერპერსონალური) კავშირების სიმტკიცე; ლეგიმეტრიულისა – ინსტიტუციათშორისი (ინტერინსტიტუციური) კავშირების გამართულობისა და საიმედობის გასაზომად. ეს ორი მეთოდი კი არ გამორიცხავს, არამედ პირიქით, ავსებს ერთმანეთს და შესაძლებელს ხდის შეიქმნას მეტნაკლებად სრული სურათი იმისა, თუ რამდენად ხელს უწყობს და განამტკიცებს „ლიდერშიპის“ ინტერპერსონალურ კავშირებს სოციუმის დანარჩენ ნაწილთან ინტერინსტიტუციური სტრუქტურული კავშირები; ინსტიტუციონალიზებულია თუ არა პიროვნებათაშორისი კავშირურთიერთობანი, და თუ ჰო, მაშინ, რამდენად საკმარისია ეს, და ხდება თუ არა იგი სათანადო, შესატყვისი ფორმით. თუ აღმოჩნდება, რომ ჰო, მაშინ უნდა ვეღოდოთ წარმატებას, ჰარმონიასა და სიმშვიდეს. მაგრამ თუ არა, მაშინ სასწრაფო ღონისძიებანი უნდა გატარდეს, საბოლოო ჯამში, წარმატების ფორმულა პროპორციებში მდგომარეობს. საჭიროა, ყველა ღონე ვიზმაროთ, რათა უმკაცრესი კონტროლის ქვეშ შენარჩუნდეს სისტემა ან სიტუაცია, რომელიც მაქსიმალურად უახლოვდება ყველაზე ოპტიმალურ და დელიკატურ ბალანსს ე.წ. „ოქროს კვეთის“ ამ „ღვთაებრივი პროპორციისა“, რაც უაღრესად ძნელი მისაღწევია და პირიქით, რომელიც უარყოფით ბალანსს ქმნის, ან უახლოვდება, ანუ როდესაც ინტერპერსონალური (პიროვნებათშორისი) კავშირები იმდენად სუსტია, რომ მალე გაწყდება კიდევაც, სასწრაფოდ უნდა დაექვემდებაროს „ტექნიკურ შემოწმებასა“ და რემონტს. გავიხსენოთ: ჯაჭვი ხომ სუსტ რგოლში წყდება.

„ლიდერშიპი“ კრიზისულ ვითარებაში

კრიზისული სიტუაციის დროს საკუთრივ საქმიანობისა და ფუნქციონირების სფეროში თავს იჩენს დამატებით სპეციფიკური სირთულე, რომელიც ექსტრაორდინარულ შესაძლებლობებსა და ძალისხმევას მოითხოვს. აქ „ლიდერშიპის“ ამოცანა ცხადია გართულებულია. საქმე

ისაა, რომ შთააგონოს, დარაზმოს, აიყოლიოს და გაიყოლიოს ჯგუფის წევრები ან საერთოდ შეუძლებელია, ან ძნელად შესასრულებელი. ამასთან, უეცრად თავს იჩენს ხოლმე ახალი, უჩვეულო ფუნქციები, რომელიმე უცხო (ეგზოტიკური) სოციალური სენის „დიაგნოსტიკისა“ და მკურნალობის საჭიროება. სისტემაში „ლიდერშიპი – კრიზისული სიტუაცია“. („დიაგნოსტიკური სიტუაცია“) შეიძლება იმძლავროს „პიროვნულმა“ ან „სიტუაციურმა ფაქტორებმა“. თანაც, სასურველი ან არასასურველი მიმართულებით. ორივე შემთხვევაში, პროპორციები ძალთა განლაგებაში, როგორც წესი, ცვალებადია. ამიტომ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს იმ ძალთა ვექტორების ურთიერთკავშირებისა და ურთიერთქმედების თანაფარდობის დადგენა ან დამკვიდრება, რომლებიც ჩვეულია, ტრადიციულია ან ორგანულია კრიზისულ ვითარებაში მყოფი სისტემისათვის. „ლიდერშიპის“ როლი უთუოდ იზრდება. „ლიდერშიპს“ ეკისრება ახალი, განსაკუთრებული როლი ერთგვარი „კომპენსანტისა“ სწორედ რომ თავისი ლიდერული უნარების წყალობით, მან უნდა შეავსოს ხარვეზები და გამოასწოროს ნაკლოვანებანი; დაძლიოს კრიზისული სიტუაციის პრობლემები და სირთულეები. თუ ის შეძლებს, რომ მარჯვედ ჩაჯდეს ლიდერის „უნაგირში,“ შესაბამისად მოვლენათა მსვლელობაზე მისი ზეგავლენა, აგრეთვე მისი როლი და მნიშვნელობა გაიზრდება. მაგრამ თუ ვერ შეძლებს, მაშინ გაითქვიფება „კრიზისულ სიტუაციაში,“ დაჰკარგავს ყოფილ დამოუკიდებლობას და გახდება ოდენ ნაწილი „კრიზისული მთელისა“. „ლიდერი კომპენსანტისაგან“ განსხვავებით, ასეთი წარუმატებელი ლიდერი, პირობითად – „ლიდერი კრიზისანტი“ – არათუ ვერ შველის და ვერ განმუხტავს კრიზისულ სიტუაციას, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო ამძიმებს მას, ვინაიდან მისი უუნარობა აჩქარებს და ამრავლებს საერთო მარცხს.

ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა ძიებაში

არსებობს კრიზისის დაძლევის მრავალი გზა და ვარიანტი იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორია მისი გენეზისი, მდგომარეობა, სპეციფიკა და სტადია. შეუძლებელია სრული მოცულობით არამარტო მათი მიმოხილვა, არამედ ჩამოთვლაც კი. ამიტომ შემოვიფარგლებით უზოგადესი უნივერსალური სქემით, რომელიც ერთგვარი მოდელია უკლებლივ ყველა შემთხვევისათვის. მეცნიერებაში იგი ცნობილია „ლიდერშიპის სტილის“ (Leadership Style) სახელწოდებით, რომელიც მისი სახელგანთქმული შემოქმედის კურტ ლევინის დამსახურების წყალობით, დიდი ხანია საყოველთაოდ აღიარებულ ფორმულად იქცა ისეთი სისტემის ანალიზისათვის, როგორიც გახლავთ „ლიდერი – სიტუაცია“.

ზემოთ აღნიშნული ფორმულის მიხედვით, არსებობს „ლიდერშიპის“ სამი სტილი:

- ავტოკრატიული;
- დემოკრატიული;
- laissez-faire (ფრანგულიდან – „გაუშვი, მიეცი თავისუფლება“).

პირველი სტილი გულისხმობს ხელისუფლების (ძალაუფლების) კონცენტრაციას ლიდერის ხელში, რომელიც ნაკლებად ეთათბირება (ან სულ არ ეთათბირება) ქვეშევრდომებსა და გარემოცვას; მთელი ჯგუფის მაგივრად იღებს გადაწყვეტილებებს და იშვიათად აბარებს მათ ანგარიშს, თანაც – გამონაკლისის წესით.

მეორე სტილი ე. წ. „დემოკრატიული ხელმძღვანელობისა“ გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას შესაბამის ჯგუფთან შეთანხმებით ან დათათბირებით მაინც. ამიტომ ისინი არასდროს ერთპიროვნულნი არ არიან და ყოველთვის ითვალისწინებენ ჯგუფის წევრების მოსაზრებებს, სურვილებს და ნებას.

მესამე სტილი (ინგლისურად – „Let do“) უაღრესად პირობითად შეიძლება იქნეს მიჩნეული „ლიდერშიპის სტილად“,

ვინაიდან laissez-faire-ის დროს ჯგუფის საქმინობა თავის დინებაზეა მიშვებული, რაც ზოგჯერ ანარქიას წარმოშობს. პრაქტიკულად, მას არსად არავინ იყენებს. ამიტომ მისი მოლოდინი რეალობაში არც კი გვიწევს.

სამაგიეროდ, პირველი ორი სტილი თავისუფლად და მომგებიანად შეიძლება გამოდგეს კრიზისულ ვითარებაში. ყოველივე კრიზისის გენეზისსა და ნომოლოგიაზე იქნება დამოკიდებული. თუ მაგალითად, კრიზისის ფესვები საკუთრივ „ლიდერშიპის“ მმართველობის ავტოკრატიული სტილიდან წარმოდგება, მაშინ „ლიდერშიპის“ გონივრული დემოკრატიზაცია, ცხადია, ვერ იქნება მნიშვნელოვანი, მით უფრო – გადამწყვეტი ფაქტორი კრიზისის დასაძლევად. მაგრამ, თუ პირიქით, უმრავლესობის ჭარბმა ლიბერალიზმმა და დემოკრატიულობამ შექმნა მმართველობის სადავეების დაკარგვის საშიშროება, და ანარქიისა და თვითნებობისკენ წაგვიძღვა, ან გვიბიძგა, მაშინ ავტორიტარული საწყისების გაძლიერება (განმტკიცება) „ლიდერშიპის“ საქმიანობისა და ხელმძღვანელობის სტილში და მეთოდებში შესაძლოა დასაშვები (გამართლებულიც კი) იყოს. მკაცრი აუცილებლობისა და ლეგიტიმურობის ფარგლებში. მიუხედავად მოძრაობის პრინციპული დასაშვებობისა ორივე ზემოთ აღნიშნული მიმართულებით, როგორც „ლიდერშიპის სტილის“ დემოკრატიზაციის, ისე ავტოკრატიზაციისა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არსებითი განსხვავება ორი არჩევანს შორის, რეალური ვითარების გათვალისწინებით. სახელდობრ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ხელმძღვანელობის ავტოკრატიზაციის დაგეგმვა ხანგრძლივი დროის პერსპექტივით. აქ ე. წ. „შორი მაშუქები“ მართლაც რომ არ არის საიმედო. „შორი მაშუქებით“ გაუთავებლად ვერ იმოძრავებ. ეს უბრალოდ საშიშია. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ, პოლიტიკური ლიდერების აღჭურვა ჭარბი უფლებამოსილებებით, საერთაშორისო სტანდარტებით და ჩვეულებით, შესაბამისად, მიღებულია შეიზღუდოს დროისა და სივრცის მკაცრ ჩარჩოებში, რომლებიც განკუთვნილია ე. წ. „საგანგებო მდგომარეობისათვის“.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივ, დემოკრატიზაციას არ გეგმავენ მოკლე ხნით. იგი მოითხოვს ხანგრძლივ, ლამის უვადო გამოყენებას. „ახლო მაშუქებს“ აქ არ ძალუძთ სასურველი შედეგის, ქმედითი ეფექტის მოტანა. ეს იქნებოდა დიდ კრიზისულ სივრცეში მანევრირების შესაძლებლობის ბოროტად გამოყენება. გარდა იმისა, რომ ეს პრინციპულად მიუღებელია მორალური, პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით, იგი შეიცავს საფრთხეს ანომიის ჩასახვის, დამკვიდრებისა და გაღრმავებისა. ეს კი უკიდურესად დამღუპველი მდგომარეობა, პროცესი და მოვლენაა, როდესაც რომელიმე დიდი გაერთიანების ან ადამიანთა დიდი ჯგუფის ლეგიტიმური მისწრაფებანი ვერ კმაყოფილდება ჩვეული ალტერნატიული მეთოდებით, ხოლო ოფიციალური ინსტიტუტები პარალიზებულია და ვეღარ ფუნქციონირებენ. თავიანთ არსებობას ისინი ოდენ ნომინალურად განაგრძობენ. მიგვაჩნია, რომ ამგვარი სიტუაციების შემთხვევაში, ხანგრძლივი პერსპექტივის გათვალისწინებით, შესაფერის და ქმედით ღონისძიებად კონსტიტუციური რეფორმა გამოდგებოდა.

ლიდერის ქარიზმატულობის თაობაზე

მისასალმებელია თუ არა ლიდერის ქარიზმატულობა. ჯერ შევთანხმდეთ, რომ ქარიზმატულობა ეს არის პიროვნების სპეციფიკური თვისება, რომლითაც ის მომხიბლავია მრავალთათვის და ბადებს მის მიმართ თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ენთუზიაზმს.

დიდი ხნის განმავლობაში, ლამის ცალსახად აღიარებდნენ, რომ ეს კარგია, ქარიზმატულობის ძალაა. მაგრამ ისტორიამ დაამტკიცა, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, ეს „ძალა“ იოლად გადაიზრდება ხოლმე სერიოზულ საშიშროებაში ლი-

დერის მიმდევართათვის (ერი, ხალხი, პარტია, კოლექტივი, კომპანია და ა. შ.). ამის მრავალი მაგალითი არსებობს. შესაბამისად წარმოიშვა ერთგვარი თავშეკავებულობა ქარიზმატულობისადმი.

მიუხედავად ამისა, შეცდომა იქნებოდა მხოლოდ ერთი მხრივ შეგვეფასებინა ლიდერის ისეთი იშვიათი თვისება, როგორიცაა ქარიზმატულობა. უმართებულო მისი დაყვანა შეფასებით პოლარულ ცნებამდე; „კარგი“ და „ცუდი.“ გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, თუ მივიჩნევდით, რომ ქარიზმატულობას უნარი შესწევს შეიძინოს ეს თვისებები, იყოს კარგი ან ცუდი. იმაზე დამოკიდებულებით, თუ რა ღირებულებების აღმსარებელია, რა მიზნებს ემსახურება და შეუძლია თუ არა საერთოდ ქარიზმატულ ლიდერს, გონივრულად გამოიყენოს თავისი ეს თვისება. ისტორიაში ამის მაგალითი, როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით, საკმარისზე მეტია. ამიტომ მათ ჩამოთვლას აზრი არა აქვს. მთავარია, არსებობდეს საიმედო „მეხამრიდები“ რეალური მექანიზმების სახით, რათა ავამოქმედოთ ისინი, თუ ქარიზმა ძლიერად გადაახვევინებს ლიდერს სწორი გზიდან.

სამწუხაროდ, ქარიზმატულობის თვისებას ზოგჯერ უწინდებურად გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭება. ხდება მისი გადამეტფასება. ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი უახლესი კვლევა-ძიების მიხედვით, როდესაც ადამიანების ძირითადი მასა უფრო პიროვნებაზეა ორიენტირებული, ვიდრე სამართლებრივ და მმართველობით მექანიზმებზე, ხელმძღვანელობის მარცხის მიზეზები თითქმის მთლიანად ლიდერს შეერაცხება; ზოგჯერ – ლიდერის ქარიზმატულობის უკმარისობის შესაბამისად, საქმის მოგვარების გზათა დაძიება ხორციელდება კიდევ უფრო მეტი ქარიზმატულობის მისაღწევად. პოლიტიკურად ეს არა მარტო გულუბრყვილობა და უვიცობაა, არამედ სახიფათოც დაბოლოს, შესაძლებელი და საჭიროა თუ არა ქარიზმატულობის თვისების აღზრდა და განვითარება მომავალ ლიდერებში?

ვინაიდან ქარიზმატულობას მარტო ღმერთი და ბუნება კი არ იძლევა, არამედ კადრების მომზადების კარგად გააზრებული მეთოდური სისტემა, დასმულ კითხვაზე პასუხი უფრო დადებითი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამის დასტურად შეიძლება გავიხსენოთ ტიბეტის სულიერი ლიდერის დალაილამასთვის განკუთვნილი, მრავალგზის აპრობირებული წესი ლიდერის შერჩევისა და მომზადებისა. სამწუხაროდ, ისტორიამ არაერთი ცუდი მაგალითიც იცის, მაგრამ აქ და ამჯერად მათი განხილვა ვერ მოხერხდება.

* * *

დასასრულ, ცხოვრება ბრძოლაა, მუდმივი, უწყვეტი ბრძოლა ადამიანის ბედნიერებისთვის. მაგრამ ბრძოლა წარმოუდგენელია ინდივიდუალური ან კოლექტიური ლიდერშიპის გარეშე, რომელიც მოწოდებულია შთააგონოს, დარაზმოს, აიყოლიოს და გაიყოლიოს ამ ბრძოლის მონაწილენი. ამიტომ ბრძოლის ავანგარდში დაუშვებელია უვარგისი ლიდერები; არც სუსტი და უნიათო და, პირიქით, არც გავლენიანი, მაგრამ ეგოცენტრული, თავდაჯერებული და იმათი ნდობის ბოროტად გამომყენებელი, ვინც მათი მიმდევარია. ეს იქნებოდა ჩვენივე თავის განწირვა **თვითვიქტიმაციისათვის**. ამიტომ, თუ მაინც მოხდა მსგავსი რამ, საჭიროა განხორციელდეს გადაუდებელი ზომები მიუღებელი ლიდერშიპის ნეიტრალიზაციისათის, უარეს შემთხვევაში – მათ შესაცვლელად. მაგრამ ადვილი მისაღწევია ყოველივე ეს? პასუხი ცხადია,

თუმცა არაერთმნიშვნელოვანი. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენს უნარსა და მზაობაზე, ვიყოთ **მებრძოლი დემოკრატები**. სხვა სიტყვებით, ვახდენდეთ ქეშმარიტად დემოკრატიულ არჩევანს, ვიღებდეთ გაბედულ, მაგრამ აწონილ-დაწონილ, კეთილგონივრულ გადაწყვეტილებებს; ვდგამდეთ მტკიცე, გადამწყვეტ ნაბიჯებს.

საბოლოო ჯამში საფუძველთა საფუძველია **დემოკრატიული კულტურა**, რომელსაც მიწყივ უნდა ვნერგავდეთ, ვამკვიდრებდეთ და ვავითარებდეთ.

ევროპის საბჭოს გენერალური სამდივნო
დემოკრატიისა და პოლიტიკურ საქმეთა
გენერალური დირექტორატი
გენერალური დირექტორის

ჟან-ლუი ლორანისგან

ბ-ნ მინდია უგრეხელიძეს
სამართლის დოქტორს,
ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს
ზ. ბოლქვაძის ქ. 3 N3/16
თბილისი,
0171
საქართველო

ძვირფასო ბატონო უგრეხელიძე,

დემოკრატიის მე-5 „ზაფხულის უნივერსიტეტი“, რომელიც წელს სტრასბურგში შედგა 28 ივნისიდან 2 ივლისამდე, მოასწავებს დიდ წარმატებას 650 მონაწილისა და მომხსენებლისა. ეს გახლდათ უნიკალური შესაძლებლობა საიმისოდ, რათა ევროპის, აფრიკის, აზიისა და ჩრდილო ამერიკის მონაწილეები და ექსპერტები შეკრებილიყვნენ და გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის თავიანთი შეხედულებანი „ლიდერშიპის კრიზისის“ თაობაზე.

ნება მიბოძეთ, გამოვხატო ჩემი მადლიერება პირადად თქვენი წვლილის გამო, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. მინდა ვირწმუნო, რომ ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ თანამშრომლობას „პოლიტიკური სწავლების სკოლების“ ფარგლებში.

გიგზავნით ასლს ფინალური დოკუმენტისა, რომელიც მიღებულია „ზაფხულის უნივერსიტეტის“ დასასრულს.

გულწრფელად თქვენი
ჟან-ლუი ლორანი

ეუბლიცისტიკა

ჩვენთვის „მზე თინათინებდა“

თინათინ წერეთლის გახსენება სულის ლხენაა ყველასათვის, ვისაც რამედ უღირს დიდი მეცნიერული ღვაწლი და მამულიშვილობა. იმავდროულად, ეს არის უტყუარი დასტური იმისა, რომ სიმართლის, სამართლისა და სამართლიანობის ძიების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე საქართველოს კვლავაც ეგულება დიდი სახელები, რომლებსაც სათუთად ვინახავთ, სიამაყით ვიგონებთ და ვის კვალსაც უნდა მივდიოთ, თუ გვინდა, რომ ზნეობრივად გადავრჩეთ და სულიერად ავმაღლდეთ.

თინათინ წერეთელმა შთამომავლობას დაუტოვა „ვერვისგან ანაწონები“ სულიერი საგზალი. დრო გადის, მაგრამ ყავლი არ გაუდის მის მეცნიერულ შემოქმედებას. მძლავრობს კიდევაც მისი ნააზრევის საჭიროება და ზეგავლენა. თინათინ წერეთლის იურიდიული კონსტრუქციებით განმსჭვალულია ახალი ქართული კანონმდებლობა. ისინი სულ უფრო მეტად იკვლევენ გზას და მკვიდრდებიან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მართლმსაჯულებაში.

ყოველივე ამას ემატება ის, რაც მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფასია და, ამდენად, უთუოდ ყველზე მთავარი მის ცხოვრებაში:

> პოლიტიკური ტერორისა და ტოტალური უფლებრივი ნიჰილიზმის პირობებში, როდესაც თინათინ წერეთელი და მისი ახლობლები ყოველ წუთს მოელოდნენ სისხლიან რეპრესიებს, იგი კი არ შედრკა, ქედი კი არ მოიხარა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო შემოიმტკიცა ზნეობრივი ჯავშანი და მეტი შემართებით განაგრძო სამართლისა და დემოკრატიული იდეების ქადაგება. განსაკუთრებით ბეჯითად აქანდაკებდა იგი თავისუფალი პიროვნების თვისებებს ახალგაზრდების სულებში, რათა ოდესმე მაინც ისინი გამხდარიყვნენ ღირსეული ცხოვრებისა და სამართლებრივი საზოგადოების შემოქმედნი.

მხურვალედ მივესალმები და გულითად მადლობას ვუძღვნი ყველას თინათინ წერეთლის ერთგულებისათვის.

ქედს ვიხრი ძვირფასი აღმზრდელის დაუვიწყარი ხსოვნის წინაშე.

მინდია უგრეხელიძე
სტრასბურგი
22.10.04

სასამართლო რეფორმის გამო:

„განსაკუთრებით საზიანოდ და მიუღებლად მიმაჩნია დაუოკებელი მცდელობა სასამართლო რეფორმის „პრივატიზაციისა“ და „მონოპოლიზაციისა“. მით უმეტეს, რომ თუ რამ წარმატებაა მიღწეული ამ დარგში, სწორედ ხელისუფლების სამივე განშტოების მესვეურთა, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა, ქართველ და უცხოელ ექსპერტთა, ხალხის, მასმედიის, პოლიტიკური პარტიების თუ არასახელისუფლებო ორგანიზაციებისა და მთავრობის ერთობლივი ძალისხმევით. წარუმატებლობა მხოლოდ იმიტომ და მხოლოდ მაშინ ვიწვნიეთ, როგორც კი რაიმეს დაჩემებისა და მიჩემების ტენდენციამ იმძლავრა“. უდაო წარმატებებით შეზარხოშებულები, ჩვენდა უნებურად, საპასუხისმვებლო გზაგასაყარზე აღმოვჩნდით საკუთარ პირმშოსთან – სასამართლო რეფორმასთან ერთად. მისაღებია საბედისწერო გადაწყვეტილება: ან ჯოხის ცხენზე ამხედრებულებმა უნდა განვაგრძოთ თავაწყვეტილი რბოლა მომავლისაკენ და ბუტაფორია გადავულოცოთ შთამომავლობას; ან კიდევ დავუბრუნდეთ ხელისუფლების სამცხენიან ეტლს და ურთიერთშეთანხმებით, თანაბარაჩქარებულ ტემპში, უდანაკარგოდ მივიტანოთ რეფორმის ჭაპანი დანიშნულების ადგილას. მე თუ მკითხავთ, მეორე ალტერნატივას ავირჩევდი, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე.

1998 წ.

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის გამო:

„..რატომ ვართ ესოდენ უდრტვინველნი დღეს? რატომ გავურბით საკითხის გამწვავებას? აქ ხომ ჩვენი და შთამომავლობის მომავალი ძევს. ნუთუ არავის ენაღვლება ეს მომავალი? აქ მოდუნება და მიმნებებლობა დანაშაულის ტოლფასია, მედგრად დავდგეთ ვით ვაჟკაცთა წესია“.

2010 წ.

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური რეჟიმის გამო:

„როდესაც წინა საუკუნის 70-იან წლებში ერთმანეთის მიყოლებით დაემხო ფაშისტური რეჟიმები ევროპაში (გავიხსენოთ ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი), კაცობრიობამ შვებით ამოისუნთქა. ეგონათ, სამუდამოდ განიკურნენ ამ სენიდან, რას წარმოიდგენდნენ, რომ 30-ოდე წლის შემდეგ უდიდესი ჰუმანისტის, რუსთველის სამშობლოში გამოიჩეკებოდა, ყოველ შემთხვევაში ინკუბაციას დაიწყებდა „ვარდისფერი ქირი“.

შავი ქირისაგან განსხვავებით, ერთი შეხედვით, ვარდისფერი პირქუში არ არის და ძნელი ამოსაცნობია. მეტისმეტად მატყუარაა მისი შეფერილობა, ვარდისფერი სათვალითაც ხომ ყველაფერი უფრო საამოდ გამოიყურება, ვიდრე სინამდვილეში. ჰოდა, ვინ არის ამ სინამდვილის დამნახავი იმათ გარდა, ვინც თავის ზურგზე იწვნია „ვარდისფერი ქირი“.

როდესაც დოკუმენტურად გავეცანი სისხლის სამართლის საქმეებს სახალხო სასამართლოში (სრული სახელწოდებაა „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“) გაოგნებული დავრჩი. საქართველოში უბრალოდ ნადირობენ ადამიანებზე, ამ სიტყვის სრული დატვირთვითა და პირდაპირი მნიშვნელობით. ხელისუფლების მესვეურთა საჭიროებისდა მიხედვით, ხოცვა-ულეტვა ხორციელდება ცალობით თუ ბითუმად. გაუგეებრობა ან ხელის წაცდენა არ გეგონოთ, ეს ხდება მიზანმიმართულად, წინასწარი გეგმის მიხედვით.

ხალხნო, აჩქარებული ნაბიჯით გვიახლოვდება, – ვაითუ უკვე დაეუფლა საქართველოს დავრდომილ სხეულს, – ახალი ყაიდის ნაზავი, ფაშიზმნარევი ვარდისფერი დიქტატურა, რომელმაც შესაძლოა მოსრას საქართველო და მისი ხალხი.

ერთი სიტყვით, აჩრდილი დაძრწის საქართველოში, აჩრდილი ფაშიზმისა.

ფუი ეშმაკს, ჯვარი აქაურობას.

2010 წ.

რუსეთში პრეზიდენტის არჩევის გამო:

„ნუთუ ძნელი მისახვედრია, რომ დათვისათვის კბილების დაძრობით იგი ვეგეტარიანელი არასდროს გახდება, ამიტომ მეტისმეტი იმედებით ნუ აღვივსებით რუსეთში დეკლარირებული დემოკრატიული გარდაქმნების აღთქმის იმედად“.

(აშშ პრეზიდენტობის კანდიდატების ბენეთისა და ჯეკსონის დებატების პასუხად)

ჰიუსტონი, ჯორჯ ბრაუნის ცენტრი
1991 წლის ივნისი

საქართველოს თანამედროვე კურსის შესახებ:

„აღმოსავლური სიბრძნითა და საუკუნეების მძიმე გამოცდილებით აღჭურვილს, საქართველოს დროის უმნიშვნელოვანეს მანძილზე გული მიუწევდა და დღესაც მიუწევს დასავლეთისაკენ, ჩრდილოეთის სუსხსა და სამხრეთის ხვატს შორის. ეს გახლავთ ჩვენი გზა, გასავლელი სცილასა და ქარიბდას შუა; განსაჯეთ – როგორია მოძრაობა ამ ორ ურჩხულს შორის, უხიფათოდ და უდანაკარგოდ.

ღმერთო მაღალო, შენ იყავი ჩვენი მფარველი!“

ყაზბეგი, 2017 წ.

პროფესორ ტარნოვსკის წიგნის „ოთხი თავისუფლების“ გამო:

„რუსეთი და თავისუფლება ორი მშვენიერი ლამაზმანია, რომლებიც არასდროს შეხვედ-რიან ერთმანეთს“.

მოსკოვი. კრემლი
1989 წლის ივნისი

ფიქრები აჭარაზე:

გმირი აჭარა გახლავთ განუყოფელი და უძვირფასესი ნაწილი ქართული სისხლის, ხორცისა და სულისა; გაუყუჩებელი და მოუშუშებელი, თუმცა საამაყო ჭრილობა ჩვენი ერისა; დიდ ხანს მოწყვეტილი მშობლიურ ნაწილს, ის კვლავ საქართველოს ერთიანობის სიმბოლოა.

აჭარის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა და მარტვილობა უცხო ბატონობისაგან გათავისუფლებისათვის. იმდენად უთანასწორო და თავგანწირული იყო ეს ბრძოლა, რომ არა თუ აჭარლები, არამედ სრულიად აჭარა ღირსია იმისა, რომ შერაცხული იყოს წმინდანად, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო განაწამები, მაგრამ მარად ერთგული შვილი საქართველოსი. ასე დამკვიდრდა და ცოცხლობს ის მშობელი ქართველი ხალხის მადლიერ შეგნებაში.

სიტყვა, წარმოთქმული 1983 წლის
13 ივნისს ბათუმში, ილია ჭავჭავაძის
სახელობის დრამატულ თეატრში

გარდა იურისპრუდენციისა, მინდია უგრეხელიძე გულმხურვალედ და შემართებით ეხმაურება საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, პირნათლად იხდის როგორც მეცნიერის, ასევე თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტის ვალს. გთავაზობთ ერთ მონაკვეთს მისი პუბლიკაციისა, სადაც ცხადად იკვეთება მისი სიყვარული ერისა და სამშობლოს წინაშე.

ილიაობის ყადრი და მადლი საქართველოში

ილიაობის აღნიშვნა სულის ლხენაა ყველასათვის, ვისაც ოდნავ მაინც გაუცნობიერებია მისი ყადრი და მადლი, მისი აზრი და მნიშვნელობა საქართველოში. საკმარისია გავიხსენოთ, რომ საკრალურად ქცეული სახელი ილია და საქართველო დიდი ხანია სრულიად განუყოფელია ერთმანეთისგან. ბევრი ჩვენთაგანი, ჩვეულებრივ, თვალზე ცრემლმორეული წარმოთქვამს ილიას სახელს. არაფერია უფრო წმინდა და წრფელი ამ ქვეყანაზე, ვიდრე ცრემლი, რომელიც მწუხარებამაც შეიძლება მოგგვაროს და, პირიქით, ნეტარებამაც. ზოგჯერ, ორივე ამ მძაფრ განცდას ერთი ცრემლი აერთიანებს.

სწორედ ასეთი ვითარება წარმოიშვება, როგორც კი ჩვენს წინაშე გაბრწყინდება სახელები და დიდნი საქმენი ორი სწორუპოვარი ქართველი მოღვაწისა. ესენია: წმინდა ილია მართალი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. ნეტარ არს ხალხი, რომელსაც შეუძლია შვას, აღზარდოს და ჰყავდეს ისეთი თავმიძღვნილი სულიერი ლიდერები, როგორიც ისინი ბრძანდებიან. მაგრამ მათი თავდადება, სავალალოდ, აუნაზღაურებელი მოწამებრივი მსხვერპლითაც არის აღბეჭდილი. ესე ყოველი ერთი მათგანის სიცოცხლის ფასი დაგვიჯდა, მეორისა კი ლამის...

მხოლოდ მსახვრალთ შეუძლია ასე ეპყრობოდნენ დაუშრეტელ წყაროს და ფასდაუდებელ საგანძურს საკუთარი ეროვნული ღირსებისა.

სხვა ნიშანიც აერთიანებს ორი დიდი ილიას სახელს საქართველოში. ხატოვნად თუ გავბედავთ თქმას, ისინი სამჯერ არიან დაბადებულნი. ჯერ, როდესაც ბუნებრივად

მოევლინენ ამ ქვეყანას; მეორედ, როდესაც მაღლივ ეწვიათ შთაგონება და ძალი ერის მსახურებისა; მესამედ, როდესაც მშობელმა ხალხმა საბოლოოდ ირწმუნა ისინი (ნდობა, აღიარება და მხარდაჭერა მიაგება მათ). ეს ბოლო „დაბადება“ უდიდეს ძალას წარმოადგენს, ვინაიდან უკვდავებისაკენ მიემართება თავად და მიუძღვება ყველას, ვისაც სულის უკვდავება სწამს. ამ საოცარი „მესამედაბადების“შემდგომ,ფაქტობრივად, აზრს კარგავს „მესამედ შობილისადმი“ რაიმე მტრობა და ჩასაფრება, რადგან ასეთ შემთხვევაში „დაფნის გვირგვინოსანს“ „ეკლის გვირგვინიც“ ემატება შუბლზე და ორი ძლევამოსილი გვირგვინით შემკული სრულიად შეუვალი და ხელ-მიუწვდომელი ხდება მოშურნეთათვის. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება გამაფრთხილებელ შეგონებად უნდა ჟღერ-დეს უკეთურთათვის, და ბრძნულ რჩევად თუ მოწოდებად კეთილგონიერთათვის, რათა მეტი შემართებით უერთგულონ ისეთ მარადიულ ღირებულებებს, როგორიცაა „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.“

„ილიაობაზე“ საგურამოში

ამრიგად, ილიაობა მარტო რელიგიური დღეობა როდია საქართველოში. იმ-ავდროულად, მისი აღნიშვნა მარ-თლაც სულის ლხენაა თითოეული ჩვენთაგანისთვის იმით, რომ ის მიწყივ მოგვაგონებს და შთაგვაგონებს: სა-ქართველოს უწინაც ჰყავდა და დღესაც ცხადლივ წინ მიუძღვის სულიერი ლი-დერი ილია II, რომლის კვალს უნდა მივ-დიოთ, რათა ზნეობრივად გადავრჩეთ და სულიერად ავმაღლდეთ. ღმერთმა დი-დხანს გვიცოცხლოს, გვიდღეგრძელოს და გვიდიადოს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

ქართულ უნივერსიტეტთან ერთად მხურ-ვალედ ვულოცავ ილიაობას პირადად პატ-რიარქს და ღვთისმშობლის მადლით მო-სილ მის წილხვედრ საქართველოს.

კრძალვითა და მოწიწებით,
მინდია უგრეხელიძე,
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი,
სამართალმცოდნეობის დოქტორი,
ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს ad hoc მოსამართლე,
ვენეციის კომისიის წევრი

„ლაზარეს“ დადგინება

> მოგესალმებით ყველას, დიდი პატივისცემითა და მადლიერებით – უწინარესად მობრძანებისთვის, რაც მთავარია – იმ დიდი წვლილისათის, რომელიც თქვენ შეიტანეთ საერთო გამარჯვებაში, – ჩვენი ეროვნული სულის, სულიერების, ეროვნული მეობის გადასარჩენად. შესაძლოა სხვადასხვა ზომითა და ხარისხით, ზოგმა კიდევ თმენითა და მედეგობით; საბოლოო ჯამში, სიცრუისა და ძალმომრეობის მიუღებლობით.

სიტყვა, წარმოთქმული ქადრაკის სასახლეში, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ლაზარეს“ დამფუძნებელ შეკრებაზე, 2012 წ.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის საბოლოო გამარჯვება, საბოლოო მოკვდინება ბოროტებისა. ეს ბოროტება ქართველი ხალხის პოლიტიკურ სხეულში რომ ჩაბუდებულა, საოცარი სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. იგი მარტო შინაგანი გადაგვარებით კი არ არის გამოწვეული, არამედ გარედანაც არის ნასაზრდოები ათასგვარი „შხამქიმიკატებით,“ რომლებიც თანადგომის სამოსში გახლავთ გამოწყობილი, თუმცა, უნდა გვესმოდეს, რომ მავანთა მზაკვრული ჩანაფიქრია. ამიტომ დიდი სიფხიზლე გვმართებს, ვიდრე საშიშროება რეალურ ვნებაში გადაიზრდებოდეს. თუ ნაწილობრივი რეანიმაცია მაინც მოხდა გარკვეული ძალებისა, ეს საქმის დაღუპვის ტოლფასი

იქნება. აჯობებდა, მაშინ არც კი გვეზეიმა პირველადი გამარჯვება.

მაინც რა ღირებულებებს დაემუქრა მომაკვდინებელი საფრთხე და საშიშროება? ლამის ყველაფერს: ეკონომიკას, განათლებას, კულტურას, სოციალურ სფეროს, ჯანმრთელობას, გენოფონდს, სპორტს და ა.შ. რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია – ეროვნულ სულს, ეროვნულ გონს, ჩვენს სულიერებას, იმ ღირებულებათა სისტემას, რომლის აღმსარებელი ყოველთვის იყო, ვგონებ დღესაც ვართ და, მარად უნდა იყოს ყოველი ჩვენთაგანი; მათ შორისაა გამორჩეულად – ქართული მართმადიდებლობა. რატომ? ნუთუ ეს საკითხავია. იმიტომ, რომ მან მოგვიყვანა დღემდე; სწორედ მან გვაცოცხლა და გვასულდგმულა; მისი წყალობაა, რომ დღემდე შევინარჩუნეთ საკუთარი სახე და სახელი, ღირსება და თავისთავადობა, მართმადიდებლობა, რომლის წიაღშიც შეიძლება იშვას და გაიზარდოს ჭეშმარიტი კაი ყმა და ქართველი რაინდი.

ჰაი ჰაი, რომ ამ ბოლო ხანს მართმადიდებლობის მტერმა საფარი დატოვა და იმდენად გათავხედდა, რომ აშკარადაც კი ბედავს ხელყოს ჩვენი სულიერების საძირკველთა საძირკველი. რაც ყველაზე სავალალოა, ეს გარემოება ლამის თავის მოსაწონ საქმედ და მოდურ ტენდენციად დაისახა. თუმცა, სასიკეთო ნიშნებმაც იმძლავრა. განსაკუთრებით, „ქართული ოცნების“ საარაკო გამარჯვების შემდეგ. როგორც იქნა, ბოლოსდაბოლოს ჩვენმა ხალხმა შეძლო კვალში ჩასდგომოდა დიდი ილიას შეგონებას, რომელიც საბრძოლო მოწოდებად გაისმის და გვიხმობს: „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი.“

ჰოდა, მგონია, დადგა ჟამი, როდესაც უკვე მოწეულ ნაწილს ჭირნახულისა (მღრღნელთაგან) დაცვა, დაბინავება, მოვლა-პატრონობა სჭირია. ეს დიდძალ მუშახელს მოითხოვს. პოლიტიკოსები, მოგეხსენებათ, როგორც ყოველთვის ერთმანეთთან პაექრობით არიან გართული; მოხელეები – თავიანთი რუტინული ბიუროკრატიული საქმიანობით; უმუშევარს, უპოვარსა და დავრდომილს თავისი მძიმე საზრუნავი აქვს და საერთო საქმეს ძვირად თუ გასწვდება ან შეეჭიდება. არადა, ვიღაცამ ხომ უნდა ითავოს და იკისროს განახლებისთვის აუცილებელი ჭაპანის გაწევა; გახლეჩილი ქართული ეროვნული ორგანიზმის გამთლიანება, იმ აუცილებელი ერთიანობის მიღწევა, მოპოვება და დამკვიდრება, ურომლისოდაც არა თუ უაზროა, არამედ შეუძლებელიც ჩვენი მთელი შემდგომი ცხოვრება. ცენტრალური ადგილი მთელს ამ თაოსნობაში ქართული მართმადიდებლური ეკლესიისა და მისი სწორუპოვარი საქეთმპყრობლის, უწმიდესისა და უნეტარესისათვის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა და თანადგომაა. მინდა ვირწმუნო, მთელი პასუხისმგებლობით გავინაწილებთ და გავიზიარებთ ამ საპატიო და საშურ მისიას. და ამას – გარეშენიც გულისხმიერებით მოეკიდებიან, – „ლაზარეს“ მიღმა მყოფი მოქალაქეები. მე მთელი საქართველოს მოსახლეობას ვგულისხმობ.

ცხადია, ჩვენს გაერთიანებას უთუოდ ესაჭიროება ღირსეული თავკაცი. ასეთ თავკაცობას თავისუფლად გასწევდა თითოეული თქვენგანი, ვინაიდან ყველაში ვხედავ ერთი ერთმანეთზე უკეთეს ერისკაცებს. მთავარია საამისო შემართება და მზაობა.

მაშ, ოსანა განახლების ძალებს!

თბილისი
პარასკევი, 07.12.12

სახელოვანი იუნკერის წერილი თანამედროვე ახალგაზრდებს

„ქართველთა მეობას დედაენის შენარჩუნებით უფრო დავიცავთ, ვიდრე ტანკებით!“

ტარიელ ფუტკარაძე

2017 წლის 26 აპრილს ბატონმა მინდია უგრეხელიძემ გადმომცა ტაბახმელაში თავგანწირულად მებრძოლი სახელოვანი იუნკრის, ბიძამისის, ვიტალი (ტალიკო) უგრეხელიძის წერილი „დავტირით ქართულს“ (წერილი დაწერილია ბრეჟნევის ეპოქაში – გასული საუკუნის 70-იან წლებში ვ. ბობოთელის ფსევდონიმით).

წერილს წინ უძღვის ორი ეპიგრაფი; ერთით, ძველი რომაული შეგონებით, ავტორი გვეუბნება: Quem amo castigo: „ვინც მიყვარს, მას ვტუქსავ“; მეორე წანამძღვარი კი უცნობი ავტორის (თავად ვიტალი უგრეხელიძის?) შემდეგი სტროფია:

„სიმდიდრით განუსაზღვრელი,
სიღრმითა განუზომელი,
ბასრ ხმალზე უფრო გამჭრელი,
ქართულის თუ ხარ მცოდნელი“.

ვფიქრობ, ამ სტრიქონებში დევს ყოფილი იუნკერის ფილოსოფია, რომელიც ჩემი სიტყვებით მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცე: **„ქართველურ მეობას ენის შენარჩუნებით უფრო დავიცავთ, ვიდრე სამხედრო თავდაცვის ორგანიზებით“**.

ეს ფილოსოფია დღესაც აქტუალურია: მსოფლიოში გაფანტულ ქართველთა თუ საქართველოში მცხოვრებთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მეობის დაცვის ყველაზე ქმედითი გზაა თითოეულ ქათველში ქართული ენის, როგორც **ქართველთა დედაენის გადარჩენა** და საქართველოს სახელმწიფოში, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის ღირსების დაცვა.

იუნკერი, რომელმაც ბოლშევიკებისაგან საქართველოს დასაცავად შემართული იარაღი მოგვიანებით კალმით შეცვალა (ის გახდა ცნობილი ლიტერატორი, მთარგმნელი, გაზეთ „მხედარის“ რედაქტორი), დარწმუნებული იყო, რომ **რუსეთის აგრესიისაგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს შეუპოვარი ბრძოლა ქართული ენის დასაცავად, ბრძოლა, რომელშიაც თავისი ადგილი უნდა დაიკავოს ყველა ქართველმა ადამიანმა**; მისი აზრით, **„ქართული სიტყვა არის ჩვენი მოგერიებით ბრძოლის უკანასკნელი ხაზი“**!

სახელოვანი იუნკერის შემართების კვალად, აუცილებელია, თანამედროვე ქართველმა, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, პოლონეთსა თუ ამერიკაში, საბერძნეთში, თურქეთსა თუ ირანში, ყაზახეთში, აზერბაიჯანსა თუ რუსეთში, გაითავისოს ერთი ჭეშმარიტება: ვინც თავის შთამომავლობას ასწავლის ქართულ ენას, ის თავის მოდგმას შეუნარჩუნებს ქართველობას – საკუთარი მეობის განმსაზღვრელ 35-საუკუნოვან ისტორიისა და მსოფლიოში გამორჩეულ კულტურას.

დღეს, ერთი მხრივ, ისევ აქტუალურია რუსული ოკუპაცია, მეორე მხრივ კი **გლობალურ ქსელში გაბატონებული ინგლისური ენის გავლენითაც, შეიძლება დაკარგოს ქართულმა ენამ განათლების, კულტურის, მეცნიერების... ენის ფუნქცია** და, დიდი ალბათობით, **სახელმწიფო ენის ფუნქციაც**...

რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი მღვრიე მდინარეში დაიხრჩობი თუ ოკეანეში?

შესაბამისად, ქართული ენის, როგორც ქართველური მეობის განმსაზღვრელი ფაქტორის, დასაცავად დღესაც ყველა ქართველმა უნდა გამოიჩინოს თავი; „ყველგან, სადაც ქართველია, იქ არის მისი ბრძოლის ველი; ყოველ კუთხეში ამ ქვეყნად“:

ეროვნულ მეობას დედაენის შენარჩუნებით უფრო დავიცავთ, ვიდრე ტანკებით!

ამ მცირე შესავლის შემდეგ გთავაზობთ ვიტალი უგრეხელიძის წერილის იმ ვარიანტს, რომელიც მოგვაწოდა ბატონმა მინდია უგრეხელიძემ; აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ ბოლშევიკურ აგრესიამდე განათლებით ცნობილი უგრეხელიძეთა ოჯახი წარმოშობით იმერეთის სოფელ ბობოთიდანაა (ამჟამინდელი ციხიაბობოთი); სწორედ სოფლის სახელის მიხედვითაა შექმნილი ვიტალი უგრეხელიძის ფსევდონიმი.

Quem amo castigo (ვინც მიყვარს, ვტუქსავ)

(ძველი რომაული გამოთქმა)

დავტირით ქართულს

სიმდიდრით განუსაზღვრელი,
სიღრმითა განუზომელი,
ბასრ ხმალზე უფრო გამჭრელი,
ქართულის თუ ხარ მცოდნელი.

(უცნობი ავტორი)

ჩემი ცხოვრების ოღრო-ჩოღრო გზაზე ბევრი გადაგვარებული ქართველი შემხვედრია. მებრალებოდნენ ისინი, როგორც ღატაკნი, რადგან ვერაოდეს შეიგრძნეს და შეიგზნეს ჩვენი მწერლობის სიტყვა. მებრალებიან ილიჩისა და მოსკოვის მღაღადებელნიც და უნდილი ღიმილი მომდის ყველა მათ მოგონებაზე. მებრალებიან პოეტები, ბლაგვი ენით რომ როშავენ დაავადებულ სიტყვებს, მოსკოვის, ბრეჟნევისა და კოლექტივების მაქებარნი. ცრემლი მომდის მათ როშვაზე, ოდეს ქართული ენა მათ მიერ წაბილწულია. დავტირი ქართულ ენას, რადგან თვით ქართველებმა თავისი მზაკვრობით გავუადვილეთ მტერს ჩვენი ერის განადგურება. თანდათან იკარგება ჩვენი ენა ჩვენივე წყალობით.

ტფუი მას, ვისაც არ ესმის! ტფუი და თავსლაფი უნიათ ქართველს! თავს-

ლაფი და ტფუი მას, ვინც ქართულ სიტყვას რუსულზე ცვლის. ნუთუ ვართ ქართველები ისე შეუგნებელი, რომ არ გვესმის ერის უბედურება? ოდეს ენას ვივიწყებთ, ვართ გადაგვარებული. გავიძახით ბრძოლებზე? რით და ვის წინააღმდეგ? ჩვენი მოსისხლე მტერი რუსეთი მსოფლიოს აზანზარებს და ღმერთმა იცის, როდის წალეკავს ან ააფეთქებს ქვეყნიერებას. რითი გვინდა ბრძოლა, ოდეს საბრძოლო საჭურველი ჩვენ გვეჯავრება? უნდა ვისხდეთ ჩუმად როგორც თაგვი სოროში. ჩვენი ბრძოლის ერთადერთი სახსარი და საშუალებაა სიტყვის არ დათმობა, ჩვენი ენის უმანკოების დაცვა. სურვილით მისი სიყვარული და მის დასაცავად სადარაჯოზე დგომა. ყოველი ქართველი ამაზე უნდა ფიქრობდეს და იყოს გუშაგი ქართველი ერისა. ერი გაჟლეტილია, ჩვენი მიწა დატაცებული, სხვა კი – სისხლით გაჟღენთილი. მტერი ცდილობს მოსპოს საქართველო. 1801 წლიდან მისი მისწრაფებაა – Georgia delenda esse (საქართველო უნდა მოისპოს). ეს არის მისი ოცნება.

მიუხედავად ამისა, თუ იარაღით არა, ენით მაინც მძაფრ ბრძოლას ეწეოდნენ ჩვენი ბუმბერაზები ენის დაცვაში, როგორიც იყვნენ: ი. გოგებაშვილი, ა. ყაზბეგი, ა. და გ. წერეთელი, ი. და ა. ჭავჭავაძე, ს. ს. და გ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ი. მაჩაბელი და ვაჟა-ფშაველა. ქართული ენის დამცველთა სია მეტად გრძელია, მაგრამ ყველა ჩვენგანმა ჩვენდა სასირცხვოდ მათი ხსენება დავივიწყეთ. თუ ქართულმა ენამ დღემდე მოაწია, აქ მადლობა უნდა ვუთხრათ სოფლად მცხოვრებ ჩვენ გულუბრყვილო გლეხობას, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და ზემოხსენებულ მწერლობას. ჩვენი სამი წლის თავისუფლების დროს დაიწყო ქართული ენის ფართოდ ხმარება და ენის გასუფთავება, მაგრამ მტერმა თავისუფლება მოგვისპო და ეხლა ცდილობს ენაც მოგვისპოს.

რუსეთმა დღეს საქართველო სომხებით აავსო. 15 000 უკრაინელი ოჯახი გურიაში ჩაასახლა. რა ენაზე იქნება დღეს საქართველოში მათთან ბაასი? ქართველები მათ ვერ გააქართველებენ, ხოლო სომხები და უკრაინელები ქართველებს გაარუსებენ. იღუპება ჩვენი ენა და შველა უნდა მას. ვინ დაიცავს მას, თუ არა ჩვენ?

დავიცვათ ჩვენ ბრძოლის ასპარეზი. ქართული სიტყვა არის ჩვენი მოგერიებითი ბრძოლის უკანასკნელი ხაზი. თუ აქედან მტერმა აგვყარა, უკან დასახევი ველი აღარ გვაქვს. მაგრამ აქ ჩვენი სანგრები მეტად მაგარია და მტერი ვერას გვავნებს. აქ ჩვენ შეგვიძლია დაუნდობელი ბრძოლა, აქ მტრის დამარცხებაც ადვილია თუ შეგნება გვაქვს.

ჩვენი უხეში და მუტრუკი მტერი აქ იოლად წააგებს ბრძოლას, თუ რომ პატარა მედგრობას გამოვიჩენთ. ეს ბრძოლაა უიარაღო, უსიტყვო, მედგარი, კრიჭაშეკრული და დაუნდობელი, ხოლო ჩვენთვის უვნებელი.

ამ ასპარეზზე მტერი ვერას დაგვაკლებს, თუ რომ ბრძოლას ყველა ქართველი გავინაწილებთ! ნუ დავთმობთ ჩვენს საყვარელ სიტყვას. ყველგან, საცა ქართველია, იქ არის მისი ბრძოლის ველი. ყოველ კუთხეში ამ ქვეყნად.

თუ ამ ბრძოლას აბუჩად ავიგდებთ, თუ რომ ამ ბრძოლას დაუნდობლად არ ვაწარმოებთ ბოლშევიკების ბატონობის ქვეშ, ერთი საუკუნეა საკმარისი, რათა მტერმა ფიზიკურად გაგვანადგუროს და ჩვენს ნაშიერსაც არ ეცოდინება, სად იყო კოლხიდა და ივერია: გავა დრო, და მკვლევარი ნახავს მიდამოს, რომლის წალკოტის ზეცაზე წაიკითხავს lokus uei Georgia fuit! (ეს არის ადგილი, საცა იყო საქართველო!)

გოდება არ კმარა – ჩავებათ ყველა ბრძოლაში!

ვ. ბობოთელი

ОБОРУДОВАНИЕ

ახალგაზრდა პენალისტთა სიმპოზიუმი. ვარნა, 1977 წ. სხდომას უძღვება მინდია უგრეხელიძე (*მარცხნიდან* პროფესორი ქიუნე, ქ. ტრირი, მარჯვნიდან - ელფი კეზევესი, ქ. ბერლინი).

მინდია უგრეხელიძე და ზურაბ რატიანი ტეხასში. ჰიუსტონის საპატიო მოქალაქედ მინდიას არჩევის შემდეგ. აშშ, ჰიუსტონი, 1991 წ.

მინდია უგრეხელიძისა და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, ჯესი ჯექსონის შეხვედრა ტექსასში, „ჯორჯ ბრაუნის ცენტრში“. მაშინ ჯექსონმა განაცხადა: „აშშ კიდევ დიდხანს არ აირჩევს შავკანიან პრეზიდენტს“. აშშ, 1991 წ. (*უკანა რიგში* – ჯესი ჯეკსონთან ერთად)

მოადგილეებთან ერთად სტუმრების მიღებისას საქართველოს უზენაეს სასამართლოში. 1992 წ.

(*მარცხნიდან მარჯვნივ*) პროფესორი მაგალი თოდუა (ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი), მინდია უგრეხელიძე (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე), აშშ-ის ელჩის კენტ ბრაუნის ცოლი და თავად ელჩი. ქუთაისი, 25 ოქტომბერი, 1992 წ.

ჟვანია, შევარდნაძე და უგრეხელიძე ფიცს იბარებენ ახლად არჩეული საკონსტიტუციო სამართლის წევრებისგან. 1995 წ.

(*მარცხნიდან მარჯვნივ*) დავით ფურცელაძე, ალე შუშანაშვილი, ვლადიმერ მაყაშვილი, თამაზ შავგულიძე, ტიბორ ხორვატი (უნგრელი პროფესორი), ლეილა ნარიმანიძე, მინდია უგრეხელიძე. 1979 წ.

(*მარცხნიდან მარჯვნივ*) ლადო ჭანტურია, ედუარდ შევარდნაძე და მინდია უგრეხელიძე. 1998 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლო. 1998 წ.

ტექსასი, 1991 წ.

გელათის აკადემიის კათედრასთან. 1995 წ.

თავმჯდომარეობის ხანა. 1995 წ.

(*მარცხნიდან მარჯვნივ სხედან*) ვალერი ასათიანი, ავთანდილ საყვარელიძე, მინდია უგრეხელიძე, ჯიმი ყიფიანი, (*დგას* ანზორ ბაბუხადია).

(*მარცხნიდან მარჯვნივ*) გიორგი გეგეჭკორი, მინდია უგრეხელიძე, ელგუჯა ბუბუტეიშვილი, ზურაბ (პეტრე) ჩხეიძე. მცხეთა, 2015 წ.

დიდი ბრიტანეთის ელჩი დენის კეფი მეუღლესთან ერთად სტუმრად მინდია უგრეხელიძის მშობლიურ სახლში. ქუთაისი. 2010 წ.

ქართველი მხატვრის ფელიქს ვარლამიშვილის (ვარლას) საფლავთან. ლევილი, 1998 წ.

მინდია უგრეხელიძე (სტრასბურგის მოსამართლეობისას) და დანიელ ტარშისი – ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი. საბერძნეთი, 1999 წ.

გელათის აკადემიის კედლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე ლუციუს ვილდჰაბერთან (*მარჯვნივ*) და ბრიტანელ მოსამართლე პოულ მაჰონისთან ერთად. 2001 წ.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებთან ერთად. სტრასბურგი, 2002 წ.

ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად. ლუქსემბურგი, 2002 წ.

მინდია უგრეხელიძე და სელი დოლე (სტრასბურგის სასამართლოს III პალატის გამწესრიგებელი). პრაღა, 2003 წ.

მინდია უგრეხელიძე (მოსამართლე) და ჟან-პოლ კოსტა (სტრასბურგის სასამართლოს თავმჯდომარე).

მინდია უგრეხელიძე და ფრანსუაზა ტიულკენსი (სტრასბურგის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე). პრაღა, 2005 წ.

დიდი ბრიტანეთის ელჩი დენის კეფი საქართველოში და მინდია უგრეხელიძე. 2010 წ.

სტრასბურგის სასამართლოს ავსტრიელი მოსამართლე ვილი ფურმანი და მინდია უგრეხელიძე. 2001 წ.

ეროვნულ ბიბლიოთეკა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები და მათი დაძლევის გზები“. 19 ივნისი, 2015 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა. მინდია უგრეხელიძე კათედრასთან. 19 ივნისი, 2015 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა. მინდია უგრეხელიძე,
იოსებ კელენჯერიძე. 19 ივნისი, 2015 წ.

წარმატების გზაზე
cursus honorum

შრომითი ბიოგრაფია:

- დაიბადა 1942 წლის 19 მაისს, ქუთაისში
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა სამართალმცოდნეობის სპეციალობით; 1963 წ.
- უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, 1963-1976 წწ.
- მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობდა 1983-1986 წწ.
- თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორია 1986-1988 წწ.
- გაზეთ "ახალი საქართველოს" მთავარი რედაქტორია 1988-1990 წწ. (ადრე იწოდებოდა – გაზეთი "კომუნისტი")
- საქართველოს უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) წევრად აირჩიეს 1990 წ.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს 1990 წ.
- სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მართლმსაჯულების ქვეკომისიას სათავეში ჩაუდგა 1993 წ.
- სასამართლო რეფორმების სახელმწიფო კომისიის თანათავმჯდომარე გახდა 1994 წ.
- საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარეობა დაეკისრა 1995 წ.
- რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მოდელის შექმნაში მონაწილეობდა 1995 წ.
- მაქს-პლანკის სახელობის "უცხოური და საერთაშორისო სისხლის სამართლის ფრაიბურგის ინსტიტუტის" პროგრამით ექვსთვიანი კვლევითი პროექტი განახორციელა ქ.ფრაიბურგში (გფრ) 1995 წ.
- სათავეში ჩაუდგა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის თანამედროვე სამართლის კათედრას 1996 წ.
- ადამიანის უფლებათა ცენტრი ჩამოაყალიბა და ორგანიზაციულად დააფუძნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში 1997 წ.
- რეგულარულად მონაწილეობდა უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების ტრადიციულ ყოველწლიურ კონფერენციებში 1993-1999, 2001, 2003, 2006-2007 წლებში
- მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემია 1974 წ.
- მიკუთვნებული აქვს უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლის წოდება 1991 წ.
- იყო ქართული ენციკლოპედიის საგამომცემლო საბჭოს წევრი (1994 წ.)
- ოსტინის (1991 წ.), ჰიუსტონის (1991 წ.) და პასადინას (1996 წ.) საპატიო მოქალაქეა
- მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლედ აირჩიეს 1999 წ.
- საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრია 2009 წლიდან
- ევროსაბჭოს სისტემაში მოქმედი თბილისის პოლიტიკური სკოლის ექსპერტია 2009 წლიდან
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ad hoc მოსამართლე (2015 წლიდან დღემდე)
- ვენეციის კომისიის წევრი (2015 წლიდან დღემდე)

შრომითი გამოცდილება:

ა) ზოგადსამართლებრივი სამეცნიერო, პედაგოგიური და საგამომცემლო ასპექტები:

- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1963-1974 წწ.)
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1973-1976 წწ.)
- სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრის ლექტორი (დოცენტი) ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1976-1999 წწ.)
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამედროვე სამართლის კათედრის გამგე (1974-1976 წწ.)
- რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მოდელის შემუშავება და წიგნად გამოცემაში საავტორო მონაწილეობა (1985-1987 წწ.)
- სამეცნიერო კვლევები მაქს-პლანკის სახელობის უცხოური და საერთაშორისო სისხლის სამართლის ფრაიბურგის ინსტიტუტში (გერმანია), 1995 წელი
- სისხლის სამართლის XV საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობა. რიო-დე-ჟანეირო, ბრაზილია (1994 წ.)
- კორუფციის საწინააღმდეგო სამართლებრივ ღონისძიებათა საერთაშორისო კონფერენცია რომში, იტალია (1996 წ.)
- ლტოლვილთა და თავშესაფრის სამართლის II საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა ნიემეგენში (ჰოლანდია), 1997 წ.
- "ჰუმანიტარული სამართლის ნორმები ეროვნულ კანონმდებლობაში" კონფერენციაში მონაწილეობა (1997 წ.)
- ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო სამართლის ჟურნალის" სარედაქციო საბჭოს წევრი (2001 წ.).

ბ) სამოსამართლო ასპექტები:

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სწავლული მდივანი (1965-1983 წწ.)
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (1990-1999 წწ.)

- აშშ-ის იურისტთა ასოციაციის მოსამართლეთა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ პროექტებში მონაწილეობა (1991, 1994, 1996 წწ.)
- უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეთა ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა (1993-2000, 2003, 2005 წწ.)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესახებ შესაბამისი ევროპული კონვენციის მე-11 ოქმის იმპლმენტაციისადმი მიძღვნილ კოლოკვიუმში მონაწილეობა 1997 წელს პოტსდამში (გერმანია)
- ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა III საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა 1998 წელს (ოტავა, კანადა)
- მოსამართლეთა წვრთნის ფრანგულ პროგრამაში მონაწილეობა; ჩატარდა პარიზში (საფრანგეთი) 1999 წელს საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოთა ავუების (Avoues) ეროვნული პალატის ეგიდით
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე (1999-2008 წწ.)
- ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა IV საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა 2000 წელს (ბერნი, შვეიცარია)
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა მომზადება, მიღება და გამოცემა შემდეგ საკითხებზე:
- "საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში რესპუბლიკის სასამართლოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და ტენდენციების შესახებ" (1991 წ.)
- "უდანაშაულობის პრეზუმფციისა და დაცვის უფლების შესახებ" (1992 წ.)
- "სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებათა შესახებ" (1992 წ.)
- "სასამართლო განაჩენის შესახებ" (1994 წ.)
- "მეწარმეთა საქმიანობის შესახებ" (1994 წ.)
- ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისადმი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის #R(94)12 რეკომენდაციის ქართული თარგმანის მომზადება და გამოცემა "მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ" (1992 წ.)
- "მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტიის" თარგმნა, მომზადება და გამოცემა (1998 წ.)
- ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციაში გაერთიანება (1998 წ.)

გ) არასამართლებრივი ასპექტები:

- მეცნიერებისა და სასწავლებლების დეპარტამენტის გამგის პირველი მოადგილე (1983-1986)
- თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი (1986-1988 წწ.)
- ყოველდღიური გაზეთის "ახალი საქართველო"-ს (ძველი სახელ-წოდება – "კომუნისტი") მთავარი რედაქტორი (1988-1990 წწ.)
- ქართული ენციკლოპედიის" საგამომცემლო საბჭოს წევრი (1994 წწ.)

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობა:

ა) საქმიანობა და გამოცდილება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

- ადამიანის უფლებათა ცენტრის დაარსება და ორგანიზაცია საქართველოს უზენაეს სასამართლოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სხვა საერთაშოროსო სასამართლოების გამოცდილების შესწავლის, ანალიზის, განზოგადებისა და გავრცელების მიზნით (1997 წ.)
- აშშ კონსტიტუციის ქართული თარგმანის რედაქტირება გამოსაცემად (1993 წ.)
- კ.ჯანდას, ჯ.მ.ბერისა და ჯ.გოლდმანის "ამერიკული დემოკ-რატია"-ს რედაქტირება, ქართულად გამოსაცემად (1995 წ.)
- "ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის" თარგმნა და გამოცემა ქართულ ენაზე (1996 წ.)
- გამოცემა წიგნისა: "კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა". ამერიკული კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი (1997 წ.)
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტებზე წაკითხული ლექციების კურსი (1976-1999 წწ.)
- ლექციები ჯორჯ ტაუნის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ვაშინგტონში (1994 წ.)
- ლექციები პასაუს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, გერმანია (1995 წ.)
- ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა ასპექტების გაშუქება რადიოსა და ტელევიზიით (რეგულარულად)
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა სირაკუზაში, იტალია (1991 წ.)
- როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეს, მონაწილეობა მაქვს მიღებული 2500-ზე მეტი საქმის განხილვაში, რომელთაგან 900-მდე საქმეზე მომხსენებელ მოსამართლედ
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის (სასამართლო პრაქტიკის) გამოცემათა ბიბლიოთეკის დაარსება (კრებულები) კონკრეტულ საქმეთა კომენტირებული მიმოხილვის სახით (2001 წ.)

ბ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობა.

ა) საჯარო სამსახური:

- მეცნიერებისა და სასწავლებლების დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე (1983-1986 წწ.)
- მისი უდიდებულესობის, ინგლისის დედოფლის მთავრობის მიერ ორგანიზებული ოფიციალური ვიზიტი გაერთიანებულ

სამეფოში (1993 წ.)

- სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის თანათავმჯდომარე (1994-1997 წწ.)
- საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შემმუშავებელი კომისიის თანათათავმჯდომარე (1995-1999 წწ.)
- საქართველოს იუსტიციის საბჭოს ex officio წევრი (1997-1999 წწ.)
- საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პროექტის ექსპერტიზა, ჩიკაგო, აშშ (1994 წ.)
- საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კოდექსების ექსპერტიზა. ლიედენი, ჰოლანდია (1997 წ.)

გ) არჩევითი თანამდებობანი:

- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) დეპუტატი (1990 წ.)
- საქართველოს უზენაესი სასამრთლოს თავმჯდომარე (1990-1999 წწ.)
- სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ქართული ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელი (1996 წ.)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე (1999-2009 წწ.)

მეცნიერული პუბლიკაციები და სხვა ნაშრომები (შერჩევით)

N	გამოცემის სახელწოდება	ნაშრომის სათაური	გამოცემის წელი
1	„საბჭოთა სამართალი,“ №4	დასავლეთგერმანელი ეგზისტენციალისტი კრიმინალისტი დანაშაულობის მიზეზების შესახებ	1964
2	„საბჭოთა სამართალი,“ №6	უნგრელი კრიმინალისტის მნიშვნელოვანი გამოკვლელვა (ვ. მაყაშვილთან თანაავტორობით)	1966
3	“საბჭოთა სამართალი,” №4	გაუფრთხილებლობის მასშტაბი ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში	1967
4	„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“ სამართლისა და ფილოსოფიის სერია, №1	შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში	1967
5	“საბჭოთა სამართალი,” №1	თ.ვ. წერეთელი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი (ოთარ გამყრელიძესთან თანაავტორობით)	1968
6	მოხსენებათა თეზისები. გამომცემლობა „მეცნიერება“	გაუფრთხილებლობის დასჯადობა და ტექნიკური პროგრესი	1969
7	„Сов. гос. И Право,“ N12	Угол. ответственность за неосторожность	1970
8	“საბჭოთა სამართალი,” №5	გაუფრთხილებლობის ზოგიერთი ნაირსახეობის შესახებ	1970
9	Киев, (Тезисы докладов)	О границах уголовной ответственности за неосторожность	1971
10	“საბჭოთა სამართალი,” №4	წინდახედულების ნორმის დარღვევა და შედეგი გაუფრთხილებლობით დელიქტებში	1971
11	„Мацне,“ №4	К вопросу о псих. природе неосторожности	1972
12	„Мацне,“ №1	Соц-этическая природа неосторожности	1973

13	“Советское государство и право”. N5, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი	Теория вероятностной причинной связи требует проверки	1974
14	გამომცემლობა „მეცნიერება“ სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები	გაუფრთხილებლობის პრობლემა თანამედროვე სისხლის სამართალში	1974
15	“ქართული ენციკლოპედია (ქსე),” ტომი I	ატომური სამართალი	1975
16	„საბჭოთა სამართალი“, №1	დაუდევრობის დროს მორალური ბრალის დასაბუთებისათვის	1975
17	„საბჭოთა სამართალი“, №3	ჯერომ ჰოლის შეხედულებანი და მათი კრიტიკა	1975
18	Сборник материалов научной конференций	Технический прогресс и некоторые вопросы уголовной ответственности	1975
19	ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი I	ანომია	1975
20	გამომცემლობა “მეცნიერება”	გაუფრთხილებლობის პრობლემა სისხლის სამართალში (მონოგრაფია რუსულ ენაზე)	1976
21	Зборник научных трудов, Владивосток	Природа поведения в свете советской психологий	1976
22	თინათინ წერეთლის საიუბილეო კრებული „სამართლებრივი ძიებანი“	მართლწინააღმდეგობისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება	1977
23	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე	მიზეზობრივი კავშირის გაგებისათვის სისხლის სამართალში	1977
24	„საბჭოთა სამართალი“ №4	სისხლის სამართლის ზოგიერთი საკითხი საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში	1977
25	„საბჭოთა სამართალი,” №4	მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა	1978

26	„საბჭოთა სამართალი“ №6	ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის.	1978
27	ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი III	გაუფრთხილებლობა	1978
28	ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი III	დიფერენციული კავშირის თეორია	1978
29	Сборник научных трудов, москва	К методологий психологического изучения личности преступника	1979
30	„საბჭოთა სამართალი“ №2	სისხლის სამართლის პოლიტიკა და სისხლის სამართალი	1979
31	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ფილოსოფიისა და სამართლის სერია, №4	О возможности применения теорий биоритмов в уголовном праве и криминологии (ე. წიკლაურთან თანაავტორობით)	1979
32	“Studia Prawnice” (N4 (66)). Journal of Polish Academy of Sciences	Prezstupna nieumyslnosc jako blad zawiniony (analiz psichologizna)	1980
33	ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი VI	ინტერპოლი	1980
34	„საბჭოთა სამართალი,“ №1	ბრალის შერეული ანუ ორმაგი ფორმის შესახებ	1980
35	“საბჭოთა სამართალი,” №3	ცნობილი ამერიკელი კრიმინალისტის შერიფ ბასიონის ფუნდამენტური გამოკვლევა	1980
36	“საბჭოთა სამართალი,” №3	პასუხისმგებლობა საპასპორტო წესების დარღვევისათვის	1980
37	Сборник научных трудов, Владивосток	О сфере уголовно наказуемой неосторожности	1981
38	“საბჭოთა სამართალი”, №4	სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ისტორიული და კულტურული ძეგლების დანგრევა-დაზიანებისათვის	1981
39	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	ბრალი საფრთხის დელიქტებში (მონოგრაფია)	1982
40	“საბჭოთა სამართალი”, №2	სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის	1982
41	საერთაშორისო სამართლის XI კონგრესის მასალები. (კარაკასი)	El abondono criminal enpelegro y la culpean las delictos sin resultato XI Congres International de Derecho Comparada (Caracas)	1982

42	Сборник статей, „Мецниереба“	Степень вины в аспекте соотношения объективного и субъективного оснований уголовной ответственности	1982
43	Сборник материалов международного симпозиума. Москва	Биоритмы и планирование мер предосторожности (в соавторстве с Е. Циклаури)	1982
44	„საბჭოთა სამართალი,“ №2	სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებური მითვისებისთვის	1982
45	Сборник материалов совещания ВНИИ прокуратуры СССР. Москва	Учет объективного и субъективного при совершенствовании советского уголовного законодательства	1983
46	Сборник научных статей, Владивосток	Об одном аспекте взаимосвязи объективного и субъективного в структуре преступления	1983
47	Travaux de Colloque de politique penal de defense sociale (Paris)	Les biorythmes et la planification de mesures de precaution. Co-authored by E.Tsiklauri	1984
48	თბილისისა და იენის უნივერსიტეტების სამეცნიერო ნაშრომების ერთობლივი კრებული	ობიექტური და სუბიექტური ელემენტების დიალექტიკა ვიქტიმოგენურ სიტუაციაში	1984
49	“Nomos”-ის გამომცემლობა (ბადენ-ბადენი, გერმანია)	Die Bedeutung des Schuldgehalts der Tat im Strafrecht. Zweites Deutsch-Sovietishces Kolloquium Uber Strafrecht und Kriminologie (B2). (ბრალის ხარისხის მნიშვნელობის შესახებ სისხლის სამართალში).	1984
50	Проблемы совершенствования уголовного закона. Сборник трудов. Москва ИГПАН	Криминализация неосторожных деяний и онтологическая структура преступления	1984
51	Межвузовский сборник ДВГУ	Причинная связь при нарушении норм предосторожности	1984
52	„საბჭოთა სამართალი,“ №2	ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობისათვის შერაცხადობის ცნებაში (დ. სულაქველიძესთან თანაავტორობით)	1984
53	Труды Тбилисского государственного университета	Субъективная сторона преступления при множественности его участников	1985
54	ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი X	უმოქმედობა	1986

55	“Наука”, Москва	Уголовный Кодекс: Опыт теоретического моделирования (Монография в соавторстве с акад. В.Н. Кудрявцевым, Проф. проф.: Г.З. Анашкиным и Б.А. Бородиным)	1987
56	Юбилейный сборник посвященный 80-летию Т.В. Церетели. “Мецниереба”	Диалектика объективного и субъективного в трудах Т.В. Церетели	1987
57	“მართლმსაჯულების მაცნე,” №2	სასამართლო ხელისუფლება	1993
58	გამომცემლობა “GCI”	აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია (ინგლისურიდან თარგმანი) საქართველოში აშშ-ის ელჩის უილიამ კორტნის, მისი მოადგილის ლორენს კერისა და პრეზიდენტის მრჩევლის გელა ჩარკვიანის წინასიტყვაობით.	1996
59	გამომცემლობა “GCI”	აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა (ინგლისურიდან თარგმანი) საქართველოში აშშ-ს ელჩის უილიამ კორტნის წინასიტყვაობით	1997
60	“მართლმსაჯულების მაცნე” №3	საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო (კახა წიქარიშვილთან თანაავტორობით)	1997
61	“საპარლამენტო უწყებანი” №41	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რეფორმათა პირისპირ	1997
62	“მართლმსაჯულების მაცნე” №2-3	სასამართლო რეფორმა გზაჯვარედინზე	1998
63	“Carl Heymans Verlag KG”	Defense des droits de l’homme: normes europeenes et Constitution de la Republique georgilnne (ადამიანის უფლებები ქართულ კოსტიტუციაში)	2000
64	Protection of Human Rights The European Perspective. ECHR. Carl Yeymanns Verlag KG. Köln. Berlin. Bonn. München	Défense des droits de l’homme: norms européennes et Constitution de la République géorgienne	2000

65	European Review of Public Law (Esperia Publications Ltd) Vol, 13-#1	Protection of Human rights: Legal Traditions and Constitutional Experience of Georgia (ქართული სამართლებრივი ტრადიციების შესახებ)	2001
66	"საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"	ადამიანის უფლებათა და ძირითადად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (თარგმანი) (სტრასბურგის სასამართლოს თავმჯდომარის ბ-ნი ლუციუს ვილდჰაბერის წინასიტყვაობით). თანაავტორი – თეა წულუკიანი	2004
67	"N.P.Engel Publisher"	Causation: Reflection in the Mirror of the European Convention on Human Rights (A sketch), co-outored by E.Gotsiridze. წიგნში: "Liber Amicorum Luzius Wildhaber. Human Rights-Starsbourg Views. (მიზეზობრიობა: ანარეკლი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სარკეში)".	2007
68	Law in the Changing Europe. "Essays in Honor of Pranas Kuris". Mykolo Romerio Universitetas	To be or not to be – Human Rights Dimensions (Approaching the Euthanasia Dilemma), co-authored by E.Gotsiridze (ყოფნა-არყოფნის ანუ სიკვდილის უფლების დილემმა; ევთანაზიის საკითხისათვის).	2008
69	"მართლმსაჯულება #1" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალი)	სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემის სათავეებთან.	2008
70		განმარტებითი ბარათი და რეგლამენტი „ხალხის სასამართლოსათვის ანუ ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას"	2009-2010
71	საქართველოს საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია	საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის გავრცობილი კონცეფცია (ვ. ხმალაძის, ლ. მუხაშავრიას, ვ. ძაბირაძისა და სხ. თანაავტორობით) საავტორო ნაწილი: შესავალი, ადამიანის უფლებები სასამართლო ხელისუფლება	2010
72	Москва (პოლიტიკური კვლევების მოსკოვის სკოლის ჟურნალი)	სასამართლო და მართლმსაჯულება: დამოუკიდებლობა და ანგარიშვლადებულება (რუსულ ენაზე)	2010
73	კავკასიის საერთა-შორისო უნივერსი-ტეტის "მაცნე" , №3	ლეგიმეტრიიდან სამართლის დიმენსიოლოგიამდე (რუსულ ენაზე)	2011

74	Ж. “неприкосновенный запас”, №5. Москва	Страсбургский суд – жертва собственного авторитета	2012
75	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ”მაცნე”, №4	დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობა როგორც მიუტევებელი შეცდომა (ინგლისურ ენაზე)	2012
76	ფსიქოლოგიის მაცნე (დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ალმანახი)	უზნაძის განწყობის თეორია და მიუტევებელი შეცდომის გონივრული გააზრება (ინგლისურ ენაზე)	2013
77	საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია	წინასიტყვაობა ფილიპ ლიჩის წიგნისათვის „როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს“	2013
78	„კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“. №7	„სიკვდილის უფლება“ განზომილებათა დრამატულ კვეთში	2014
79	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები. ტომი V	სახელოვანი მეცნიერი იურისტი და საზოგადო მოღვაწე (თინათინ წერეთლის დაბადებიდან 110 წლისთავის გამო)	2015
80	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ”მაცნე,” №8	„ლიდერშიპი:“ დემოკრატიულობის პროპორციათა დიმენსიოლოგია	2015
81	ქართული უნივერსიტეტის შრომები. ტომი II	თინათინ წერეთელი - გამოჩენილი ქართველი სამართალმცოდნე	2015
82	ქართული უნივერსიტეტის შრომები. ტომი I	ექსისტენციალიზმი და სამართალი.	2015
83	თბილისი	აფხაზეთის/საქართველოს ტრაგედია საერთაშორისო საზოგადოების სამსჯავროზე	2015

84	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები. ტომი VI	„ლიდერშიპის“ კრიზისი: ზოგიერთი ვექტორისა და განზომილების შესახებ	2016
85	ოთარ გამყრელიძე 80. საიუბილეო სამეცნიერო კრებული. „მერიდიანი,“ 2016	სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა (ლეგიმეტრიის შესავლისათვის)	2016
86	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ”მაცნე”, №10	„ვალწინააღმდეგობის“ ცნება და მნიშვნელობა სისხლის სამართალში	2016
87	ქართული უნივერსიტეტის შრომები. ტომი III	ადამიანის უფლებათა უცხოურენოვანი მოკლე იურიდიული ფრაზეოლოგია ქართული მეცნიერული განმარტების თანხლებით.	2017
88	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ”მაცნე”, №11	„ტიპობრივი ვალენტობის“ პრინციპი სისხლის სამართალში	2017
89	ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №7 (სპეცგამოშვება)	პოსტკრიმინალური ემოციური განცდების ფენომენოლოგია (რეტროსპექტული მეთოდის შესახებ სისხლის სამართალში)	2017
90	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები. ტომი VI	ადამიანის უფლებათა უცხოურენოვანი მოკლე იურიდიული ფრაზეოლოგია ქართული მეცნიერული განმარტების თანხლებით. (ნაწილი II)	2017
91	ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო,“ №6	ადამიანის უფლებათა უცხოურენოვანი მოკლე იურიდიული ფრაზეოლოგია ქართული მეცნიერული განმარტების თანხლებით. (ნაწილი III)	2017

ამ ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ
იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე: www.lawandworld.ge
ელ. ფოსტა: info@lawandworld.ge
გურამიშვილის გამზირი 76. თბილისი. 0141
ტელეფონი: (+995 32) 2 000 171 (116); (+995 99) 177 573
ფაქსი: (+995 32) 2 143 583

The online version of the journal is available on the website:
www.lawandworld.ge
E-mail: info@lawandworld.ge
76 Guramishvili ave. Tbilisi. 0141
Phone: (+995 32) 2 000 171 (116); (+995 99) 177 573
Fax: (+995 32) 2 143 583